წელიწადი პირველი — ფასი 5 კაპ. — პარასკევი, 27 გიორგობისთვე 1915 წ. № 153

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

**განცხადების ფასი**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე [illegible] კ., უკანასკნელზე—10 კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მანეთი.
**დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.**

## საქართველოს კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ 1 ნოემბრიდან წლის დამლევამდე ღირს 1 მან.—60 კაპ.

მოვაგონებთ იმ ხელის მომწერთ, ვისაც ხვედრი ფული არ აქვს გადახდილი გაზეთის გზავნა შეუჩერდებათ.

**მისამართი:** г. Тифлисъ, редакція „Сакартвело“ Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვათ.

„წნორის წყლის“ სადგურთან, სულ რამდენსამე ნაბიჯზე, თვით სადგურიდან, გაიხსნა

## სასტუმრო „ჯუგაანი“

სასტუმრო მოწყობილია სუფთად და ევროპიულად ნომრებით და ბუფეტით

15—9 პატივისცემით ნიკო (კოლა) ზურაბის-ძე ზედელაშვილი

ახლად გახსნილს ინტელიგენტურს სასადილო

## „პეტროგრად“-ში

კრუზენშტეინის ქუჩაზე, „Тифл. Листок“-ის რედაქციის პირდაპირ

მზადდება ყოველნაირი

## ევროპიული და აზიური საჭმელები

ძრიელ ხელმისაწვდომ ფასებში: 2 თავი 50 კ. ხოლო სამი თავი 65 კაპ. თვიურად ფასდაკლებით, ე. ი. 2 თავი—13 მან., 3 თავი—16 მან. შეიძლება ვახშმის შეკვეთა.

პატივისცემით ხ. კახეთელიძე და გ. არჩვაძე.

25—18

## გადაწერას საწერ მანქანის საშუალებით და საწერ მანქანაზე

მუშაობის სწავლებას ხელმისაწვდომ ფასებში ჰკისრულობს

## ი. თ. გვათუას კანტორა

ვერის დაღმართი № 1

ტელეფონი 17—05

ქ. გორში

## ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს. აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან.

კბილის ექიმმა

## მამულაიშვილმა

(ხოდნევისამ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა. ოლღას ქუჩა, № 22.

ექიმი

## მ. დ. წინამძღვრიშვილი

ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

## კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

## ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი

## გ. მ. მუხაძე

იღებს დოსტაქარი ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

კბილის ექიმი

## ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

„სორაპანის“ გამოცემა.

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად ქართული

## კედლის კალენდარი 1916 წლისა

შედგენილი ქრ. ჩარკვიანისა და მ. გაჩეჩილაძის მიერ.

## ჯიბის—სახალხო კალენდარი 1916 წლისა

შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ.

ვისაც სურს „პარტიით“ იყიდოს, მან უნდა მიმართოს შემდეგი ადრესით: თბილისი, სტამბა „სორაპანი“, მ. გაჩეჩილაძეს.

5—10—2

თბილისის უმაღლეს ქალთა კურსების მსმენელი ქალი

## ეძებს გაკვეთილს,

ან ბინას, სადაც საჭიროა მასწავლებელი ქალი. მომზადება ყველა საგნებში (გარდა ენებისა) ყოველი კლასისათვის. უმთავრესად კი ქართულ ენაში. **მისამართი** იკითხეთ „საქართველოს“ რედაქციაში.

(15—11—2)

# ომის ამბები

## ომის დეპეშები

26 გიორგობისთვე.

**უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბისა**

**პეტროგრადი.** დასავლეთი ასპარეზი. მოპირდაპირე შეეცადა დასავლეთ დვინის ტოტით კუნძულზე გადასულიყო, დაბა სკრიულის სამხრეთით, მაგრამ თოფის სროლით უკუაგდეს. ბოლდონის ჩრდილოეთით, მერცაენდორფის მიდამოებში რუსებმა მძიმე ზარბაზნები დაუშინეს გერმანელების ჰაეროსტატს, რომელზედაც ძლიერი აფეთქება მოხდა. დანარჩენ ადგილებში კანტი-კუნტი სროლა იყო.

**კავკასიის ასპარეზზე** ცვლილება არ მომხდარა.

25 გიორგობისთვე.

**წყალქვეშას დაღუპვა.**

**პარიზი.** გერმანელთა რადიოტელეგრაფის ცნობით, საფრანგეთის. წყალქვეშა „ფრენსლელ“-ი 22 გიორგობისთვეს დაღუპა ავსტრიელთა სამხედრო გემმა. ორი ოფიცერი და 16 მეზღვაური ტყვედ წაიყვანეს.

**ინგლისის პალატაში.**

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. სტუარტის შეკითხვაზე გრეიმ უპასუხა: ჩინეთში საქმის მდგომარეობა გულდასმითს დაკვირვებას მოითხოვს. სპარსეთის უკანასკნელმა ამბებმა დაგვარწმუნა, თუ რაოდენად სანდონი არიან სპარსეთის ჟანდარმები, თუმცა სპარსეთის მთავრობა კი გულწრფელად სცდილობს საქმის გამოკეთებას. ყაზვინსა და თეირანს შუა რუსის ჯარის ყოფნა ინგლის-რუსეთის ინტერესების საფრთხემ გამოიწვია. რუსის ჯარი სატახტო ქალაქში არ შესულა, თუმცა მთავრობას განუცხადა: თუნდა შემოვიდეთ, მხოლოდ თქვენს ქონებასა და სიცოცხლეს დავიცავთო. გრეის სიტყვით, ჯერ არ მიუღიათ დამადასტურებელი ცნობები, ვითომც სპარსეთის მთავრობას გერმანელებისთვის ხელი შეეწყოს თეირანსა და ქამადანში დიდძალ საომარ სურსათის მიზიდვაში.

**საფრანგეთის ასპარეზი.**

**პარიზი.** საღამოს ცნობა. ფრანგბელგიელთა სროლით გეტზასის მიდამოებში მოპირდაპირეს ორი სამხედრო საწყობი აფეთქდა. არტუაში დღისით ზარბაზნების სროლა გაძლიერდა. ბუაზანგამის ჩრდილოეთით, ჟივანშის მიდამოებში ძლიერი სროლა იყო. აქ უდიდესი ყუმბარებიც ცვიოდა. სენსუფლესა და სუენის ბორცვთან უმნიშვნელო ბრძოლა იყო.

**ბელგეთის ასპარეზი.**

**ჰავრი.** დიუქსმიუდეს ჩრდილოეთ და სამხრეთით ვოტუმენთან ბელგიელებმა გერმანელების სანგრებზე იერიში მიიტანეს. აქ გერმანელები ცრემლის გამომწვევ ყუმბარებს ისროდნენ. იზერის მიდამოებში წყალდიდობა დიდად აფერხებს მოპირდაპირის მოქმედებას, იგი იძულებული გახდა რამდენიმე მოწინავე სანგრები დაეტოვებინა.

**მთაშავეთში.**

**ცეტინიე.** მტერმა ჩერელიჩის მახლობლად, პლევლის მიმართულებით იერიში მიიტანა. მთაშაველთა მცირე რაზმები მთელ დღეს უმკლავდებოდნენ მოპირდაპირეს, მაგრამ ბოლოს იძულებული გახდნენ მთავარ მოსაგერიებელ სანგრებისაკენ დაეხიათ. სტრატეგიულის მოსაზრებით ჯაჯესუვის ოლქი დასცალეს მთაშაველთ. დილით ცეტინიეზე ავსტრიელთა მფრინავმა გადაიარა 8 ყუმბარა ჩამოაგდო; ზიანი უმნიშვნელოა. ერთი ყუმბარა ინგლისის მისიის მოედანზე დაეცა, მეორე ბაღის წინ—საფრანგეთის მისიასთან.

მეფე ნიკოლოზმა საფრანგეთისა და ინგლისის დესპანები ინახულა.

**ცეტინიე.** ტაბუკესა და მატოროჟეს გზით მთაშაველებმა სამაგიერო იერიში მიიტანეს მოპირდაპირეზე. მოწინავე ჯარები იბრძვიან.

**ბრძოლა ზღვაზე.**

21 გიორგობისთვეს ავსტრიელთა კრეისერმა და 7 კონტრ-ნაღმოსანმა სან-ჯიოვანნიდი-მედუას ნავთსაყუდელს ზარბაზნები დაუშინეს, ორი გემი და 100 იალქნიანი გემი, სანოვაგით დატვირთული, დალუპეს, შემდეგ ბოიანის სანაპიროებზე ფრანგების წყალქვეშა, ჩასძირეს ხოლო მეზღვაურნი ტყვედ წაიყვანა.

**იტალიის ასპარეზი.**

**რომი.** მთავარ ბანაკის ცნობა. ჯურიკარიისა, კონჩეისა და კარნიის ველებში ფიცხელი სროლა იყო ზარბაზნებისა. კარსოს მიდამოებში იტალიელთ ხელთ იგდეს 2 ყუმბარის მტყორცნელი, ერთი მანქანა მოშხამულ გაზის დამზადებელი, თოფები და ყუმბარები.

**სამხედრო თათბირი.**

**პარიზი.** 24 ნოემბერს დილით მთავარ ბანაკში სამხედრო თათბირი მოხდა ჟოფრის თავმჯდომარეობით. დაესწრნენ: რუსეთის მხრივ—ჟილინსკი, ინგლისის—მერეი და ფრენჩი, იტალიისა—პორრო, ბელგეთისა—მთავარ შტაბის უფროსი, სერბეთისა—სტეფანოვიჩი და იაპონეთის—წარმომადგენელი.

**ბალკანეთში.**

**სოლუნი.** სტრუმიცა-დოირანის ხაზზე ბულგარელებმა მედგარი სროლა აუტეხეს საფრანგეთ-ინგლისის ჯარს, თუმცა მათი სროლა ხანმოკლე იყო; ფრანგმა მფრინავებმა მიაგნეს მათი ზარბაზნების ადგილს და მალე გაანადგურეს. ფრანგი მფრინავები დაესივნენ სტრუმიცასა და უსკიუბს, ბულგარელები თრაქიაში აგროვებენ ჯარს, განსაკუთრებით ოქჩილარის მხარეს. ბულგარელებმა კოვალარის სამხრეთ-აღმოსავლეთით შეუტიეს. მებრძოლნი ღამემ გაჰყარა, თუმცა მეორე დღეს ბრძოლა არ განახლებულა.

**საბერძნეთში.**

**ათინა.** „ასოშიეტ. პრ.“-ის თანამშრომელს მეფე კონსტანტინეს ესაუბრა. მეფემ განუცხადა: მოკავშირეთა მიმართ საბერძნეთი ნეიტრალობას არ დაარღვევს. თუ მოკავშირეთა ჯარი საბერძნეთის მიწა-წყალისაკენ დასწიეს და მან მოისურვა გემებზე გადასვლა, საბერძნეთის ჯარი თავისი მკერდით დაიცავს მათ, რა თქმა უნდა თუ მოკავშირეთა ეს ნაბიჯი ბალკანეთზე მოქმედების დასასრული იქნება. საბერძნეთი ამაზე მეტს ვერაფერს იკისრებს. მეფე თავისს ჯარს ვერ გამოიყვანს ვერც სოლუნიდან, ვერც საზღვრებიდან და არც არავის მისცემს ნებას ძალით დაარღვიონ ნეიტრალობა.

**ამბოხება ჩინეთში.**

**ტოკიო.** კრეისერი „ცუგარუ“ სწრაფად გაემართა შანჰაისაკენ.

**ინგლისის პალატაში.**

**ლონდონი.** შეკითხვის პასუხად, საზოგადოებათა პალატაში, კრიუმ განაცხადა: მესოპოტამიაში, ტაუნსენდის ხელქვეით თვალსაჩინო დივიზია იყო ცხენოსანთა ჯარითა და ქვეითა ჯარით შევსებული. ბაღდადის ასაღებად ეს ჯარი მცოდნე პირთ საკმარისად მიაჩნდათ. ბაღდადის სწრაფლ აღებას დიდი გავლენა ექნებოდა, თუმცა მისი ნაადრევი აღება უფრო გართულდა, ვიდრე მოსალოდნელი იყო.

სპარსეთში მოქმედების თაობაზე კრიუმ განაცხადა: ეჭვი არ არის, დიდი გონიერება გამოვიჩინეთ, როდესაც მესოპოტამიაში, ქთეზიფონთან ბრძოლის შემდეგ მდინარის ქვემოდ სიმაგრეებისაკენ დავიხიეთო.

**მეფე კონსტანტინესთან.**

**ნიუ-იორკი.** მეფემ გაზ. „ასოშიეტედ-პრეს“-ის თანამშრომელს განუცხადა: გერმანეთისაგანაც, როგორც მოკავშირეთაგან, სიტყვა მაქვს მოცემული, რომ საბერძნეთის მიწა-წყალს არ შეეხებიან. მაგრამ ეს დაპირება ხელს არ შეუშლის გერმანეთსა და მის მოკავშირეთ საბერძნეთის მიწა-წყალზე შეებრძოლონ მოპირდაპირეებს და საბერძნეთი მეორე პოლონეთად გაიხადონ. უკეთუ მოკავშირენი ძალას მიჰმართავენ, საბერძნეთი უკიდურეს შემთხვევაში ჯარს დაითხოვს და საქმის მსვლელობას მოუცდის.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**ბულგარეთი.**

**მეტი ერთობისაკენ.**

ბულგარეთის მეფისა და მთავრობის ნებისყოფის გადაძლევამ ბულგარეთის ხალხს დაანახვა აშკარა უპირატესობა და უდავო დადებითი შედეგები. სერბეთის ჯარზე გამარჯვება ბულგარეთს საშუალებას აძლევს განახორციელოს თავისი ნაციონალი ზრახვანი და შემოიერთოს ის ადგილები, რომელიც ბულგარებით იყო დასახლებული და სერბეთის სახელმწიფოს საზღვრებში შედიოდა. ყველაფერი ეს მოუტანა ევროპის ცენტრალ იმპერიებთან კავშირის დაჭერამ. ამ კავშირის უფრო განმტკიცება და მეტი გაერთიანება სამხედრო-საფინანსო ოპერაციებისა მორიგ საკითხად გადაიქცა ბულგარეთისა და ავსტრო-გერმანეთის პოლიტიკისათვის. ამ მიზნით სოფიაში 11 გიორგობისთვეს ჩამოვიდა ავსტრო-უნგრეთის ყოფილი ლონდონელი ელჩი მენსდორფ-დიტრიხშტეინი, რომელმაც ხანგრძლივი მოლაპარაკება გამართა მეფე ფერდინანდთან და ბულგარეთის პრემიერ რადოსლავოვთან. ამ მოლაპარაკებამ შედეგად ის მოიტანა, რომ ბულგარეთის მეფემ და მთავრობამ ბულგარეთის ფინანსების, რკინის გზათა და საადმინისტრაციო ორგანოების მოქმედება ავსტრო-გერმანეთის თვალსაზრისს დაუქვემდებარა. ბულგარეთის ჯარებიც მოკავშირე ავსტრო-გერმანეთის ჯარების მაღალ სარდლობას დაუქვემდებარა.

**ხმები სეპარატულ ზავზე.**

ხმებია, ბულგარეთმა მაკედონიის დაჭერით მოათავა თავისი საქმე ბალკანეთში და თამამად შეუძლია ცალკე ზავი ჩამოაგდოს სერბეთთან და შეთანხმების სახელმწიფოებთანო. ბულგარეთის ერთ გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეს უთქვამს, ეს ხმები საფუძველს არის მოკლებული, ბულგარეთს სეპარატულ ზავზე არც კი უფიქრნია, პირიქით მან თავისი ფინანსები და ჯარის სარდლობაც სავსებით შეუთანხმა მოკავშირეთა საფინანსო და სამხედრო ოპერაციებსო.

**რუმინეთი.**

**პარლამენტის კამათი.**

რუმინეთში წინაამდეგ საზოგადოდ გავრცელებული ხმებისა სიწყნარე მეფობს. დღეს საზოგადოება სულ განაბული ყურს უგდებს პარლამენტში რომ სწარმოებს იმავე კამათს.

**მსხვილი მემამულენი.**

მსხვილი მემამულენი ხორბლის განაღდებაში არიან გართულნი. როგორც ირწმუნებიან გაყიდულ ხორბლისაგან რუმინეთს დარჩება 250 მილიონი ფრანკი.

**„ერთგულება ერთგულებისათვის“**

გრაფმა რევენტლოვმა „Deutsche Tageszeitung“-ის ფურცელზე მოათავსა წერილი: „ერთგულება ერთგულებისათვის“. ამ წერილში გერმანეთის გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე ლაპარაკობს: გერმანეთის წმინდა მოვალეობაა ენერგიული დახმარება გაუწიოს ოსმალეთს ეგვიპტის დაბრუნების საქმეში. ამით გერმანეთის მთავარ მტერს—დიდ ბრიტანიას დიდ ზიანს და ჭრილობას მივაყენებთო. გრაფი რევენტლოვი ასე დაასკვნის: გერმანეთის ჯარის მთავარ-სარდლობის მორიგი საკითხი ეგვიპტეში საექსპედიციო ჯარის გაგზავნა არისო.

**საბერძნეთი.**

**ნეიტრალობის დაცვაზე ცდილობენ.**

საბერძნეთის მთავრობა ცდილობს ისეთ ფარგალში დააკმაყოფილოს შეთანხმების სახელმწიფოთა მოთხოვნილება რომ საბერძნეთის ნეიტრალობას არავითარი ზიანი არ მოუვიდეს.

**კვლავ გართულდა.**

საბერძნეთმა აცნობა შეთანხმების სახელმწიფოებს რომ იგი სრულ ნეიტრალობის გზას ვერ გადაუხვევს და იძულებული იქნება იარაღი აჰყაროს იმ ჯარს რომელიც საბერძნეთს თავს შეაფარებს. შეთანხმების სახელმწიფოებმა განიზრახეს კვლავ ენერგიულ ღონისძიებით მიმართონ საბერძნეთის ნაოსნობისა და აღებ-მიცემობის ნიადაგზე. მოკავშირენი ბერძნებს გემების დატვირთვის ნებას არ აძლევენ იმ ტერიტორიაზედ, სადაც მოკავშირეთა ჯარები იმყოფება.

**ავსტრია-გერმანეთის მოქმედება.**

ავსტრია და გერმანეთი ყოველ ღონეს ხმარობენ საბერძნეთის დასაყოლიებლად. მაკენზენმა უბრძანა ტოდოროვას ჯარს ბიტოლზე იერიში მიიტანოს და შიგ ქალაქში შევიდეს. ეს ქალაქი ადრე საბერძნეთისთვის ჰქონდათ აღთქმული.

ავსტრია-გერმანეთმა განუცხადეს საბერძნეთს, უკეთუ ის დააკმაყოფილებს შეთანხმების სახელმწიფოთა მოთხოვნას, არც ავსტრია და არც გერმანეთი საბერძნეთის მაკედონიას არ ჩათვლის მეგობარის სახელმწიფოს ტერიტორიად.

საბერძნეთის მთავრობამ დაჰკარგა თავდაჭერილობა. ვერავითარი დადგენილება ვერ მიიღო მინისტრთა საბჭომ რომელიც მთელი დღე თათბირობდა მეფის თავმჯდომარეობით. ყველაფერი დამოკიდებულია თითეული მოქიშპე დიპლომატიის უნარსა და გამჭრიახობაზე.

**საფრანგეთის პრესა.**

მთელი საფრანგეთის პრესა აღელვებულია საბერძნეთის გაჭიანურებულის საქციელით. პრესა ფიქრობს რომ საბერძნეთს მხოლოდ დროის მოგება სურს.

**ავსტრო-უნგრეთი.**

**15 მილიონი საზარბაზნო ქარხნისთვის.**

უნგრეთის დროებითმა ბიუჯეტმა 15 მილიონი ივარაუდა უნგრეთის საზარბაზნო ქარხნის საჭიროებისათვის. საბიუჯეტო განმარტებაში ნათქვამია სხვათა შორის, დღევანდელ ომში გარდამწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა არტილერიას.

**სერბეთი.**

**ყოფილი ამბები.**

სერბთა ჯარების უკუ დახევა მოხდა იმ რაიონის ფარგლებში, რომელიც პრიშტინასა და ახალი ბაზარის შორის არის მოქცეული. ორთავე პუნქტი უკვე გერმანელებისა და ავსტრიელბულგარების ხელში იყო. ხმები, სერბთა ჯარის მიჩანშეწონილ და წინასწარ განზრახულ გეგმის და თანახმად დახევის შესახებ მოკლებულია ყოველ საფუძველს. ფაქტიურად, სერბთა ჯარი ორად იყო გაჭრილი. სერბთა ჯარის ბირთვი ერთ ადგილას იყო, ხოლო მთავარი სარდალი-კი მეორე ადგილას. ასე რომ შესაძლებელია მთაშავეთში მხოლოდ გენერლებსა და შტაბს ამოეყო თავი, უჯაროდ და უარმიოდ. სერბები უკუ იხევდნენ სამის გზით. პირველი—კაჩანიკის

უღელტეხილით და პრიშტინით—მთაშავეთში. მეორე—უსკიუბის რაიონიდან ტეტოვოთი და პრიზრენით—ალბანეთში. სამივე გზა ისეთ ყოფაშია რომ ყოვლად შეუძლებელია სერბებს თან წაეღოთ რაიმე სამხედრო მასალა. სულ ადვილათ შეიძლებოდა რომ სერბთა ზოგ-ზოგი რაზმი, რომელიც პრიშტინიდან უკუ იხევდა პირდაპირ ხელში ჩავარდნოდა მოპირდაპირეთ.

——

მილანის გაზეთ „Socolo"-ს სალონიკიდან ატყობინებენ მონასტირიდან ჩამოსულ სერბ ოფიცრების სიტყვებიდან შემდეგს: პირდაპირ აუტანელ ტანჯვაში ჩავარდა სერბეთის ის ჯარი, რომელიც ალბანეთის საზღვრისკენ უკუ იხევდა. „კოსოვს ველზე" სავსეა თუ ძალღონე გამოლეულ, თუ მომაკვდავ, თუ უკვე დახოცილ მეოტე ხალხისა და ჯარისკაცთა გვამებით. ათასობით გზაზედ იხოცება დატვირთული პირუტყვები, რომლებიც საკვებ და საომარ მასალას ეზიდებიან. მრავალი ათი მეოტი ბრბო ტვინის დამთხევ შთაბეჭდილებას გვრის ადამიანს. შიმშილისაგან ათასობით იხოცებოდა ოჯახები. მთაშავეთისკენ დაწეული სერბეთის ჯარიც ამგვარსვე საშინელებას განიცდიდა. მისი მთავარი გასაჭირი და უბედურობა საკვებ მასალის უქონლობაში მდგომარეობდა.

**სერბეთის ჯარი წინედ და ეხლა.**

ავსტრო-გერმანეთ-ბულგარეთის შემოტევამდე სერბეთს ყავდა დაახლოვებით 2050 ათასი ჯარისკაცი. შვიდი კვირის სამხედრო მოქმედების შემდეგ ძლივს 100 ათასი მეომარი შერჩა, რომელთაც თავი შეაფარეს მთაშავეთს ან ალბანეთს. ტყვედ წაიყვანეს გერმანელ-ავსტრო-ბულგარებმა 54.000, დანარჩენი დაჭრილ-დახოცილია. 515 ზარბაზნიდან სერბებმა დაჰკარგეს 478 ზარბაზანი, რომელთაგან მეტი წილი გერმანელებისგან არის წართმეული.

**რკინის გზების შეკეთება.**

დაჭერილ სერბეთში გერმანელები დიდის სიჩქარით აკეთებენ გაფუჭებულ რკინის გზებს; პირველი ყურადღება მიაქციეს ბელგრად-უსკიუბის ლიანდაგს. მიუხედავათ არაჩვეულებრივი სიჩქარისა, სამუშაოს დეკემბრის შუა რიცხვებამდე ვერ მორჩებიან.

**სერბეთის ღორები.**

ბერლინის ბაზარზე ამ ბოლო დროს ბლომად იყიდება ღორები, რომლებიც გერმანელთა ჯარისაგან დაპყრობილ სერბეთიდან არიან შემოტანილი.

## უკანასკნელი ფოსტა

**საბერძნეთი ნეიტრალობას დაიცავს.**

მეფე კონსტანტინემ კვლავ განუცხადა საფრანგეთის ელჩს, საბერძნეთი იმდენად დააკმაყოფილებს შეთანხმების სახელმწიფოებს, რამდენადაც ეს დაკმაყოფილება საბერძნეთის ნეიტრალობას შეიგუებსო.

**ბულგარები კავალაში.**

ბულგარებმა დიდძალ ჯარს თავი მოუყარეს ეგეის ზღვის ნაპირზე და კავალას რაიონში.

**სტამბოლში სამხედრო მასალა შემოაქვთ.**

სტამბოლში 2500 ვაგონი საომარი მასალა შემოზიდეს. გერმანელებს განზრახვა აქვთ მესოპოტამიაში დიდ სამხედრო ოპერაციებს შეუდგნენ. აქ სარდლობას გასწევს ფონ-დერ-ჰოლც-ფაშა. სამხედრო ოპერაცია მოედება აგრეთვე ბაღდადის მხარეს სპარსეთის ყურესაკენ.

——

გერმანეთის იმპერიის კანცლერი სოციალისტებს შაბათს უპასუხებს.

**გალიჩინაში უკრანული უნივერსიტეტი.**

ავსტრიის მთავრობას მოლაპარაკება აქვს „მაზეპინცების" მეთაურებთან აღმოსავლეთ გალიჩინაში უნივერსიტეტის გახსნის შესახებ.

## ბრძოლის ველზე

გერმანელებს უცდიათ მდ. დვინის ერთი მკლავი გადაელახათ და გადასულიყვნენ იქსკიულის სამხრეთით მდებარე კუნძულზე. მაგრამ მოპირდაპირე ნაპირიდან რუსებს თოფის სროლა აუტეხნიათ და გერმანელები შეუჩერებიათ. დანარჩენ ადგილას, დეპეშის ცნობით, შებრძოლებას ადგილი არ ჰქონია.

კავკასიის ბრძოლის პირზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

მეგრი.

## თბილისი, 27 გიორგობისთვე.

**საღი ხმა.** ეს ერთი ხანია ქუთაისის „მეგობარი", თბილისის „სახალხო ფურცელი", სომხური გაზეთი „ჰორიზონი", და სომხების „კავკაზსკოე სლოვო" და tuti quanti ურთიერთისადმი რევერენსებში ერთობიან. „მეგობრის" სტუმართ-მოყვარეობა და მეგობრობა მეზობელ სომხის ერისადმი საშუალო საუკუნის ქართველ რაინდებსაც კი შეშურდებოდათ.

ამ გაზეთებმა და მთელმა „ფედერალისტურმა" მიმართულებამ საქართველოს ჩამოსჭრეს სამი მაზრა—ახალქალაქისა, ახალციხისა და ბორჩალოსი. საქართველოს იმ მომავალ საზღვრებიდან, რომელ საზღვრებშიაც „ფედერალისტურ" მიმართულების პოლიტიკურ მოღვაწეთ და მათ მრწამსის გამომთქმელ ორგანოებს „მეგობარ-სახალხო ფურცელს" წარმოუდგენიათ ჩვენი ქვეყნის ავტონომია, ეს სამი მაზრა გამორიცხულია.

ეს აქტი მათი პოლიტიკური სიბრძნისა და ეროვნული უფლება—საკუთრების თავისებურად შემეცნების ნაყოფია.

ფედერალისტების დაწერილი სიტყვა სომეხ პუბლიცისტებმა გონივრულად გამოიყენეს და, ოფიციალად რომ ვსთქვათ, დალუქეს კიდეც, მას საბუთის ბეჭედი დაასვეს. სომხური გაზეთები „ჰორიზონის" მეთაურობით, რუსული გაზეთები: აქაური და სატახტო, რომელთაც სომხების სუბსიდია ასაზრდოვებს, ეს ამბავი მთელ რუსეთს მოსდეს. პეტროგრადის „რეჩმაც"-კი ოფიციალად ყურად იღო ფედერალისტების ბოძების სიგელი და ღრამოტა. ყველა ამას უთუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს. საზოგადოებრივი აზრის შექმნა ამ გზით იწყება და ერთხელ შექმნილი საზოგადოებრივი აზრი, მოგეხსენებათ თუ რა დიდი ძალაა; ტყუილად კი არ ლაპარაკობს ფრანგული ბრძნული ანდაზა: საზოგადოებრივი აზრი ქვეყნის დედოფალიაო. სომხები უთუოდ ასე უნდა მოქცეულიყვნენ. და შეგნებულმა მებრძოლმა მოპირდაპირემ მათ ამგვარ ფხიზელ მოქმედებას ტაში უნდა დაუკრას. საკმარისი არ იქნებოდა, მარტო ის რომ თქმულიყო, საქართველოს ფედერალისტებმა სომხებს და სხვებს სამი მაზრა გაუბოძესო. ეს ამდენ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენდა. საჭირო იყო ეთქვათ, რომ ის მიმართულება, რომელიც ეროვნულ საკუთრების გაფლანგვას დასდგომია და უკანონოდ არსებულ სინამდვილეს აკანონებს, ყველაზედ ძლიერი იყო და მომავლიანი; რომ იგი იყო დემოკრატიული, ესე იგი ხალხური. ასეც სთქვეს. ფედერალისტებს ჩვენებური სოციალ-დემოკრატებიც, დათიაშვილები და კომპანია მიაკოსს და საერთოდ შემდეგი დასკვნა გამოიტანეს:

მთელი დემოკრატიული და მოწინავე საქართველო ყაბულს არის საქართველოს პოლიტიკურ რუქიდან ამოშალოს ხსენებული სამი მაზრა და და ულოცოს სომხებს თუ სხვებსაო. მართლაც, ეს საჭირო საქმე „კავკაზსკოე სლოვომ" სანაქებოდ შეასრულა ბ-ნ ნარის სახით.

ბ-ნმა „ნარმა", რომელიც „კავკასკოე სლოვოში" ქართულ განყოფილებას განაგებს, არც აცხელა არც აცივა, პირდაპირ აუწყა რუსის საზოგადოებას, გარდა ქართველ ნაციონალისტებისა, რომელთაც „საქართველო"—„სამშობლო"-„ზაკავ. რეჩში" თავი მოუყრიათ, და რომელთაც არც პროგრამა აბადიათ და არც რამ გარკვეული შეხედულება და რომელნიც ემყარებიან გაკოტრებულ და სამარეში ფეხ-ჩადგმულ თავად-აზნაურობას, ყველა დანარჩენი მიმართულება, პარტიულად დარაზმული, პროგრამულად ჩამოყალიბებული, ერთი სიტყვით მთელი ქართველი დემოკრატია მომხრეა ამ სამი მაზრის გაბოძებისო. მომავლის საქართველო ჰუმანიზმს, მეზობლობას და მეგობრობას ჰქადაგებს კერძოდ სომხების მიმართ, ხოლო მომაკვდავი საქართველო, რომელსაც „საქართველო-სამშობლოს" ნაციონალისტები ემყარებიან „ჰკა მაგას" და რუსეთის „პოგრომშჩიკების" ზრახვებს ატარებს სომხის ერისადმიო.

კამპანია დამთავრებულია, i-ს წერტილი დაუსვეს. ლოზუნგი სამი მაზრის გაბორეძისა „მეგობარმა" და „სახალხო ფურცელმა" წამოაყენეს. „ჰორიზონმა" მოიწონა, წინადადება მიიღო, „კავკასკოე სლოვომ" განმარტა, ვიღაც კაცი-ჭამია და მომაკვდავ ნაციონალისტების გარდა, ეს მთელი დემოკრატიული საქართველოს სურვილიაო. რუსეთის კადეტთა დიდმა და ცენტრალმა ორგანომ, პეტროგრადის „რეჩმა" ოფიციალად ყურად იღო ფედერალისტების დეკლარაცია. ამნაირად საქართველო კიდევ ერთხელ უნდა დაიჭრას და სისხლით დაიცალოს. ჩვენ უფრო მოხერხებულ პირობებში შევეხებით ამ საკითხს და განვიხილავთ ფედერალისტების იმ დებულებათა და მოსაზრებათ, რომლითაც ისინი ასაბუთებენ თავიანთ პოზიციას. თუ საქართველო არსებობს მას თავისი ეროვნული სამკვიდრებელი და საკუთრება უნდა ჰქონდეს. ხსენებული სამი მაზრა საქართველოს ტერიტორიულ ორგანიზმიდან არავის ამოუთხრია. უკანასკნელი სიტყვა მთელ ერს ეკუთვნის. ერთი მუჭა პარტიის „მკეთებელთა" ერის საკუთრების გაბოძების უფლება არ აქვთ. ამ საკითხში დაინტერესებულია სწორედ ის ქართველი სოფლის ხალხი, რომელიც თავის ქვეყანაში უმიწა-წყლოდ დაძრწის და იძულებულია თერგის ოლქში გარდიხვეწოს. პარტიული „კომბინატორების" ხსენებული სიგელის შინაარსი ქართველ ხალხში უნდა ფართედ იქმნას გატანილი და მაშინ დარწმუნებული ვართ, რომ სოფლის სიღრმიდან ისეთი საღი ხმა წამოიგუგუნებს, რანაირი საღი ხმაც გაისმის ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში მოთავსებულ მუშათა ერთი პატარა ჯგუფის წერილში.

## ახალი ამბავი

◆ **ქართული საქველმოქმედო საზოგადოება.** 25 გიორგობისთვეს საზოგადოების გამგეობას კრება ჰქონდა, რომელზედაც დაადგინა: 1) ვინაიდან მისის უმაღლესობის ტატიანა ნიკოლოზის ასულის სახელობის კომიტეტისაგან საკმაო თანხაა გადადებული, მოწვეულ იქმნას სამკურნალო კომისია და ეთხოვოს, რომ დაუყონებლივ მოაწყოს სამკურნალო საქმე აჭარაში; 2) ქრისტეშობისთვის პირველ რიცხვებშივე გაიხსნას ქართველ მაჰმადიანთათვის სკოლები და ამ საქმის რიგიანად განხორციელებისათვის მოწვეულ იქმნას მცოდნე კაცები, რომელთანაც ერთად გამგეობა გამოარკვევს, რომელ სოფლებში, რა ტიპისა და რამდენი ბავშვისათვის გაიხსნას სკოლა; 3) ვინაიდან ზემო აღნიშნულ კომიტეტის სურვილია და ფულიც არის გადადებული გადმოხვეწილ მოსწავლეთა დასახმარებლად, შეკრებილ იქმნას ცნობები, პრესისა და საზოგადოების განყოფილებათა დახმარებით, ასეთ მოსწავლეთა შესახებ, რათა საზოგადოებამ დაუყონებლივ აღმოუჩინოს მათ დახმარება; 4) ვინაიდან ავსტრო-გერმანიაში ბევრი ტყვედ წაყვანილი ქართველი მხედრები იმყოფებიან, იმათ მშობელთა საშუალებით შეიკრიბოს ნივთეულობა და ფული, რომელნიც ხსენებულ ტყვეებს გაეგზავნება სადღესასწაულოდ.

◆ **პეტერსონის წასვლა.** მეფის ნაცვლის თანაშემწედ ყოფილი გოფმეისტერი ნ. ლ. პეტერსონი ამ დღეებში თბილისიდან მიდის.

◆ **ქართ. გამ. ამხ. სტამბის** ასოთამწყობნი ისევ გაფიცული არიან. თავიანთ მოთხოვნილებას ისინი არას უკლებენ და სტამბის გამგე მათ მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებს. სტამბაში მუშაობა შეწყვეტილია.

◆ **საკურორტო საზოგადოება.** 1916 წლის ხარჯთ აღრიცხვით საკურორტო საზოგადოების საჭიროებათა დასაკმაფილებლად გადადებილია 16.000 მანეთი. ამ თანხიდან ახტალის (კახეთი) სამკურნალო წყლების გამოსარკვევად უნდა დაიხარჯოს 8.000 მანეთი.—საზოგადოების თავმჯდომარეობა, ნაცვლად გოფმეისტერ პეტერსონისა, რომელმაც თანამდებობა დასტოვა, აზრად აქვთ სთხოვონ მეფის ნაცვლის თანაშემწედ ახლად განწესებულს გენ.-ლეიტ. თავ. არლოვს.

◆ **წმ. გიორგის კავალერთა დღესასწაული.** გუშინ, 26 გიორგობისთვეს ჩვეულებრივი დღესასწაული გაიმართა წმ. გიორგის კავალერთა. ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძრის გალავანში თავი მოიყარეს თბილისში მყოფ კავალრებმა. დღესასწაულს დაესწრნენ: მეფის ნაცვალი, დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზისძე, დიდი მთავარი პეტრე ნიკოლოზის ძე, მეფის ნაცვლის თანაშემწენი გენერალ იანუშკევიჩი და თავ. არლოვი, კავკასიის სამხედრო ოლქის უფროსი გენერალ ვოლსკი. კავკასიის მხედრობის უფროსი გენერალ იუდენიჩი და სხ. წირვა და პარაკლისი გადაიხადა ერევნის ეპისკოპოსმა ლეონტიმ. წირვის შემდეგ კავალერ ჯარისკაცთათვის საუზმე იყო გამართული სამხედრო მუზეუმში, საცა მიბრძანება ისურვა დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ, ხოლო კავალერი აფიცრები მეფის სასახლეში იყვნენ მიწვეული საუზმეზე.

◆ **სამოსამართლო პალატაში.** გუშინ გაირჩა საქმე აზნაურ სილოვან ეფრემის ძის მგელაძის (41 წლისა) და სოფ. აბაშეთის გლეხის მელიტონ იოსების ძის გურგენიძისა (31 წლისა) რომელთაც დაზღვეულ ავეჯეულობის ცეცხლის წაკიდება ჰბრალდებოდათ დაზღვეულ ფასის 7000 მანეთის მისაღებად—პალატამ ოლქის სასამართლოს განაჩენი დაამტკიცა, რომლითაც მგელაძეს გადაწყვეტილი აქვს 6 წლის კატორღა ხოლო გურგენიძეს 4 წლით.

◆ **ქართლის სოფლებში.** უღვინობის გამო სოფლის ხალხი არაყს ძალზედ ეტანება. თითქმის ყველა ოჯახში ჰხდიან არაყს და დიდი და პატარა ამით [illegible] ყოველივე [illegible] თუ სამგლოვიაროს, თან მოსდევს ამ შხამით უზომო ლოთობა, რასაც ხალხი ტვინის ანთებამდე მიჰყავს. სახალხო კითხვები შესაფერ ბუნდოვან სურათებით ამ სამწუხარო მოვლენის წინააღმდეგ მეტად სასარგებლო იქნებოდა.

◆ **წერა-კითხვის საზოგადოების** წევრთა წლიური კრების გაგრძელება დანიშნულია კვირას, 29 გიორგობისთვეს, დილის 11 საათზე, ხარფუხის კლუბის დარბაზში.

◆ **ფარმაცევტთა მოთხოვნილების გამო.** აფთიაქებში მოსამსახურე ფარმაცევტთა და შეგირდთა მიერ არჩეულმა კომისიამ დაამთავრა მოლაპარაკება შემდეგ აფთიაქთა პატრონებთან: 1) გეინეს აფთიაქი დაჰყაბულდა გადიდებულ იქმნას მოთხოვნილების თანახმად, ჯამაგირების ნორმა და ამასთანავე მიემატოს მოსამსახურეთ 15 პროცენტი, ვიდრე სიძვირე არსებობს; 2) იოანისიანისა, ზოლოტნიცკისა და პრეისბურგის აფთიაქები დასთანხმდნენ მხოლოდ ჯამაგირების ნორმის გადიდებაზე; 3) არისტაკოვის აფთიაქმა სავსებით უარი განაცხადა მოთხოვნილების რომელიმე მუხლის დაკმაყოფილებაზე; ამის გამო მოსამსახურეებმა 25 გიორგობისთვეს, საღამოს 8 საათზე, მუშაობას თავი დაანებეს.

◆ **გამგეობა „განათლების" საზოგადოებისა** დიდ მადლობას უცხადებს სტეფანე სვიმ. ელიაძეს, რომელმაც შემოსწირა 100 მან. ქალთა მომავალ სამასწავლებლო სემინ. სასარგებლოდ. თანხა იყო 3260 მან.—შედგა 3360 მან.

◆ **სტიპენდიის განთავისუფლება.** ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობის ერთი სტიპენდია განთავისუფლდა, რადგან პეტროგრადის პოლიტეხნიკუმის სტუდენტი გიორგი ქვლივიძე ინსტიტუტიდან გასულა ომიანობის გათავებამდე და სამხედრო სამსახურში შესულა.

◆ ჩვენმა რედაქციამ მიიღო სასოფლო სამეურნეო ჟურნალ „სასოფლო გაზეთი"-ს № მე-18. ჟურნალში მოთავსებულია საყურადღებო ცნობები მევენახეობისა, გოგირდ-შაბიამნ[illegible] და ნამყენ ვაზის შესახებ.

◆ **სააგარაკო საზოგადოებაში.** გუშინ-წინ სენატორ ნ. ლ. პეტერსონი[illegible] თავმჯდომარეობით შესდგა კრება [illegible] აგარაკო საზოგადოებისა, რომელზედაც ამ საზოგადოების წევრმა ბ-ნ გლოტოვმა წაიკითხა მოხსენება თვისის მოგზაურობის შესახებ შავი ზღვის პირის ადგილებში. მომხსენებელი იღტაცებულია ამ ადგილებით და ურჩევს საზოგადოებას სააგარაკო საკითხის ფართედ მოწყობის შესახებ ამ კუთხეში.

◆ **საბოტანიკო ბაღის** სათესლე სადგურის უფროსად დაინიშნა პ. მ. ჟუკოვსკი.

## ქართული ანბანი *)

როდის და საიდან შემოუღიათ ქართული ანბანი? ასეთია წინამდებარე წერილის მთავარი საკითხი. მაგრამ, სანამ ამ საკითხზე ჩვენს აზრს გამოვსთქვამდეთ, მოვაგონებთ პატივცემულ მკითხველებს, რომ ქართულ სამწერლო ნაშთებში სამგვარი ანბანი გვხვდება: ასომთავრული, ნუსხური და მხედრული. დღეს უკვე დამტკიცებულია, რომ ამ სამში ყველაზე უძველესი ასომთავრულია, ხოლო ნუსხური და მხედრული მისგან არიან წარმოებულნი და განვითარებულნი (დიმ. ბაქრაძე) [1]. ერთ დროს კი ეგონათ, ვითომც უძველესი ანბანი მხედრული ყოფილიყოს (ილ. ოქრომჭედლიშვილი), მაგრამ დღეს ამ აზრს აღარავინ იმეორებს [2].

ასომთავრულით ნაწერმა ნაშთებმა ჩვენამდე ქრ. შემდეგ VI—VII საუკუნიდან მოაღწია (გურგენ მეფისა და სტეფანოს ერისთავის ფულებისა და ჯვარის საყდარის წარწერები). ნუსხურის ნიმუშები მხოლოდ მე-X-ე საუკუნის მეორე ნახევრიდან გვხვდება (შატბერდული კრებულის მეორე ნაწილი). ხოლო მხედრულის უძველესი ნაშთი მე-XI-ე საუკუნეზე ადრე არ შენახულა (ბაგრატ მე-IV-ის სიგელი).

ცხრილი 1-ლი:



რაც შეეხება იმ საკითხს, თუ როდის და როგორ წარმომდგარა ასომთავრული ანბანი,—ამ საგანს ამ ათიოდე წლის წინათ საკმაოდ ვრცელი წერილი ვუძღვენით, რომელშიაც შეძლებისდაგვარად ნათელვყავით ის აზრი, რომ ქართული ასომთავრულის წყარო „უმთავრესად **არამეული ანბანია ასურულ-სპარსული პერიოდისა, მე-VII—VI-ე საუკუნეში ქრ. წინ**, მისივე პროტოტიპით ძველ ებრაულ-ფინიკიურით, და რამოდენსამე შემთხვევაში—**ძველი ბერძნული ალფაბეტი**" [3].

დღეს ამ აზრს მცირეოდენი შესწორება სჭირია: ამ ათი წლის დაკვირვებამ თანდათან დაგვარწმუნა, რომ ქართული ასომთავრულის ერთად-ერთი **პირველი წყარო არამეული ანბანია** და სხვა რომელსამე ანბანს აქ, **როგორც პირველ წყაროს**, არავითარი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონოდა, მათ რიცხვში არც ბერძნულ ალფაბეტს. [4]) ამასთანავე ჩვენთვის ნათლად გამოირკვა, რომ ის ქართული ასოებიც, რომელთ საბადლო ხმები და ასოები არამეულში არ მოიპოვებოდა, ქართველებს იმავე ძირითადის არამეული ასოებისაგან უწარმოებიათ, და არ-კი თვითონ შეუქმნიათ, როგორც ამ ათი წლის წინად გვეგონა.

წინამდებარე საპალეოგრაფიო ცხრილებს აზრად აქვს ნათელჰყოს ჩვენ მიერ გამოთქმული აზრი ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ. ამ ცხრილებში პირველი იმდენად მარტივი და ცხადია, რომ განმარტებას არ საჭიროებს. მეორე ცხრილს კი შემდეგი განმარტება სჭირია.

ამ ცხრილის 1-ელ ხაზში მოთავსებული გვაქვს ქართული ასომთავრულის დედა-ანბანი, ე. ი. **არამეული** ანბანი VIII—VI საუკუნისა ქრ. წინ. სახელდობრ აქ შემოტანილია არამეულის მხოლოდ ის ფორმები, რომელნიც, ჩვენის ფიქრით, საფუძვლად უნდა დასდებოდა ქართულ ასომთავრულს. ამ ხაზშივე ნაჩვენებია არამეული ასოების რიგი და სახმო მნიშვნელობა ლათინურის ტრანსკრიპციით [5]. მე-II-ე ხაზში მოთავსებულია გარდამავალი სახე ქართულის ასომთავრულისა მე-VI-ე საუკუნიდგან ქრ. წინ მე-VI-ე საუკუნემდე ქრ. შემდეგ, ე. ი. ის გზა რომელიც, ჩვენის ფიქრით, უნდა გაევლოს ასომთავრულს, ვიდრე იმ სახეს მიიღებდა, რომლითაც იგი გვხვდება დღემდე დაცულს უძველეს ნაშთებში. ამ ხაზში ნაჩვენები გვაქვს მხოლოდ 30-ის ქართულის ასოს წარმოშობა და განვითარება, სახელდობრ იმ ასოებისა, რომელნიც თვისის დამთავრებულის სახით (IX—X საუკ.) წარმო-

---

*) ეს ნარკვევი უფრო ვრცლად ავტორის მიერ წაკითხული იყო ცალკე მოხსენებად მიმდინარე წლის ერთ-ერთ საზოგადო კრებაზე „საქ. საისტ. და საეთნ. საზოგადოებაში". აქ იგი შემოკლებით იბეჭდება.

1) იხილეთ ცხრილი 1-ელი, რომელიც შედგენილი გვაქვს უმთავრესად თვით დიმ. ბაქრაძის ცხრილის მიხედვით („Труды V-го археологич. съѣзда въ Тифлисѣ". Москва, 1887 г., стр. 207—214).

2) სხვა და სხვა მკვლევართა აზრით ქართული ანბანის შემოღების შესახებ ჩვენ გარჩეული გვაქვს ჩვენს „წერილებში საქართველოს ისტორიიდან" ნაწ. I, თავი II, გვ. 59—75 (შეად. „მოამბე" 1905 წ. 10). იქვე გვაქვს ნაჩვენები ამ საკითხის ლიტერატურაც. აქ დავსძენთ, რომ ამავე საკითხს შეეხება შემდეგის ავტორების წერილებიც, რომელთაც ამ ათის წლის წინათ არ ვიცნობდით და მხოლოდ ამ ბოლოს დროს გავიცანით: ა) **მ. ჯანაშვილისა**—„რა დროს და საიდგან შემოიღეს ქართული ანბანი" (გაზ. „ივერია" 1887 წ. №№ 115, 116, 117, 118, 121 122, 123, 126, 127, 128); ბ) **ილ. ფერაძისა**—„ქართული ანბანი" („ივერია" 1900 წ. № 203); გ) **დ-რ ფრიდრიხ მიულლერისა**—„ქართული ანბანის შემოღებაზე" (აკაკის „კრებული" 1899 წ. № 2—თებერვალი; თვით მიულლერის გამოკვლევა კი 1897 წელს ეკუთვნის); დ) **დ. კარიჭაშვილისა**—„ხუცური ანბანი" მეორე გამოცემა 1914 წ. ტფილისი, გვ. 29—35: „ქართულის ანბანის წარმოება და განვითარება".

ჩვენთვის აქ ყველაზე მეტი მნიშვნელობა ფრიდრ. მიულლერის აზრს აქვს, რომელიც აგრეთვე იმ დასკვნაზე მისულა, რომ ხუცურის წყარო არამეული ანბანია, მხოლოდ სამწუხაროისაა, რომ პატივცემული მეცნიერი მთლად ვერ განთავისუფლებულა ჩვენი ძველი წყაროების ტრადიციული შეხედულებისაგან, რომელიც ანბანის შემოღებას ფარნავაზ-მეფეს მიაწერს. ჩვენი აზრი ფარნავაზის შესახებ იხ. ზემოდასახელებული „წერილები საქართველოს ისტორიიდან" ნაწ. I, თავი II. იქვეა გარჩეული სომეხ მეისტორიეთა აზრიც, ვითომც ქართველებისათვის ანბანი მესროპს შეექმნას (მე-V-ე საუკუნეში ქრ. შემდეგ).

3) იხ. ჩვენი „წერილები საქართველოს ისტორიიდან" ნაწ. I, თავი II („მოამბე" 1905 წ. № 10; ცალკე გამოცემა, ტფ. 1906 წ., გვ. 59—75).

4) როგორც მკითხველი ქვემოთაც დაინახავს, ბერძნულს შესაძლოა აქ მნიშვნელობა ჰქონდეს არა როგორც პირვანდელს ფაქტორს, არამედ როგორც მეორე რიგის და ისიც **მერმინდელს** ფაქტორს ქართული ანბანის განვითარებისას.

5) იხ. Шницеръ Я. Б.—Иллюстрированная всеобщая исторія письменъ. СПБ. 1903 г, გვ. 111, სურათი მე-65: თანდათანი განვითარება არამეულის ანბანისა, ხოლო ამავე ასოების სახმო ტრანსკრიპცია შეადარეთ გვ. 88, სურათი მე-59-ე: Древнѣйшіе алфавиты міра (იგულისხმებიან ძველი ებრაული და ფინიკიური, რომელთაგანაც წარმოიშვნენ ყველა დანარჩენ., ანბანები, მათ შორის არამეული ანბანიც).

✦ **თბილ ამინდების გამო** საბოტანიკო ბაღში გაიშალა მრავალა მცენარეულ-ყვავილი.

✦ **საქართველოს საისტორიო საეთნოგრაფიო** საზოგადოების კრების გაგრძელება მოხდება ამ დღეებში. დაიწყება კამათი ქართულ ორთოგრაფიის შესახებ. (ს. გორგაძის რეფერატის გამო).

✦ **სასტატო ინსტიტუტში** 22 გიორგობისთეს ქართულ ენის გაკვეთილებზე თანახმად ოლქის მზრუნველის განკარგულებისა დაესწრო 1 გიმნაზიის დირექტორი ბ-ნი ი. ს. ღულაძე და დაჰყო გაკვეთილებზე 2 საათს. ბ-ნი ღულაძე კმაყოფილი დარჩა მოწაფეთა ცოდნით და მადლობა გადუხადა როგორც მათ ისე მასწავლებელს ბ-ნ ს. გორგაძეს.

✦ **სასამართლოში.** 25 გიორგობისთვეს უნდა გაერჩიათ თბილისის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში თავ. თენგიზ ვახტანგის ძე ერისთავის საქმე, ცრუ ფიცის მიღებაზე, ცნობილ უჩა დადიანის საქმის დროს. თავ. ერისთავს საოლქო სასამართლომ, როგორც მოეხსენება მკითხველთ, ერთი წლის გამასწორებელი რაზმი მიუსაჯა ღირსების ახდით. საქმის გარჩევას დაესწრო ქუთაისის გუბერნიის მარშალი თ-დი დ. ო. ნიჟარაძე და თ-დი ოთარ დადიშკელიანი. საქმე ვექილის თხოვნით სხვა დროისთვის გადაიდვა, რადგანაც საჭირო საბუთები არ ჰქონდათ. დამნაშავეს იცავდა ნაფიცი ვექილის თანაშემწე გ. გორდეზიანი.

✦ **გადამდები სენი.** 27 გიორგობისთვეს ქალაქის საავადმყოფოში იწვნენ: ქუნთრუშიანი 136, სახადიანი 25, საოფლიანი 32, ხუნაგიანი 21, მუცელაიანი 3 და ყვავილიანი 3 კაცი.

✦ **სურსათი.** 25 გიორგობისთვეს რკინის გზით შემოიტანეს თბილისში: ფქვილი 2 ვაგ., კარტოფილი 2 ვაგ., კომბოსტო 1 ვაგ., შეშა 1 ვაგ., ქერი 4 ვაგ., ღვინო 1 ვაგ., მარილი 252 ფ., თევზი 185 ფუთი, ერბო 153 ფუთი.

✦ **გამოქცეულთა რიცხვი** განჯის გუბერნიაში უდრის 10672 სულს, თერგისაში 2459, ერევნისაში 100 ათასი, შავი ზღვისაში 2622 და დაღესტნისა 187.

## უმაღლესი რესკრიპტი

**პეტროგრადის მიტროპოლიტ პიტირიმის სახელზე**

ყოვლად სამღვდელო მიტროპოლიტო პეტროგრადისა პიტირიმ! თქვენმა მამობრივმა ზრუნვამ სამწყსოს კეთილად ყოფისათვის და კეთილ განწყობისათვის მოგიხვეჭეს თქვენ საერთო სიყვარული თქვენდამი რწმუნებულ ეპარქიების, განსაკუთრებით კი საქართველოს საექსარხოსოს მცხოვრებთა შორის. ვრაცხ რა ღირსეულად მოგანდოთ თქვენ მართვა პეტროგრადის ეპარქიის მიტროპოლიტის ხარისხზე აყვანით. გიგზავნით ამასთან ბრილიანტის ჯვარს მიტრასა და ბარტყულაზე სატარებლად. მაქვს სრული იმედი, რომ თქვენ ახალ სარბიელზედაც გამოიჩენთ სამწყსოსადმი მწყემსობრივ მზრუნველობის მაგალითს. დავიფაროთ თქვენ ღმერთმა მრავალ ჟამიერ უვნებელად და ჯან საღად. ვანდობ რა ჩემს თავს თქვენს ლოცვა-კურთხევას, ვშთები თქვენდამი უცვლელად კეთილ განწყობილებაში.

ნამდვილზე მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ხელმოწერილია

**ნიკოლოზი.**

ცარსკოე სელო, 23 გიორგობისთვე, 1915 წ.

## სახელმ. სათათბიროში

(პ. დეპ. ს.)

საბიუჯეტო კომისიას სხდომა ჰქონდა. დაესწრო მრავალი ხალხი. სათათბიროს თავმჯდომარემ სხდომას მოახსენა უმაღლესი რესკრიპტი, სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის გადადების შესახებ. შემდეგ როძიანკომ სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც ის აზრი გაატარა, რომ საჭიროა საბიუჯეტო კომისია ძლიერის დაკვირვებით მოეკიდოს თავის საქმეს. სიტყვის შემდეგ გაიმართა კამათი, რომელმაც ძლიერ ფართო ხასიათი მიიღო. კამათის უმთავრესი საგანი იყო სათათბიროს მოწვევის გადადება.

კადეტთა ფრაქცია წინადადებას იძლევა კენჭის ყრით გადაწყდეს საკითხი, 15 ქრისტეშობისთვემდე საფინანსო კომისიის მუშაობის დამთავრების შესახებ. წინადადება უარყოფილ იქმნა მემარჯვენეთა, პროგრესისტების და ნაციონალისტების მიერ.

## მიტროპოლიტი პიტირიმი

მწუხარი მრავალ საუკუნოებითი ტანჯულ ივერიის ეკლესიისა ყოვლად სამღვდელო პიტირიმი დღეს საქართველოს ექზარხოსი აღარ არის. უმაღლესი რესკრიპტით მას ებოძა არა კიევის მიტროპოლიტობის ხარისხი და კათედრა, როგორადაც ამას სატახტო გაზეთები დაჟინებით იუწყებოდნენ, არამედ პეტროგრადისა.

ამხანად იგი პირველი მიტროპოლიტია და მასთანვე პირველი თავმჯდომარე უწმიდეს სინოდში.

ფრიად საგულისხმოა ეს ფაქტი როგორც საზოგადოდ, ისევე კერძოდ ჩვენთვის, ქართველებისათვის.

კარგად ვიცნობთ ყოვლად სამღვდელო პიტირიმს. ვიცოდით, თუმცა დაბეჯითებით კი არა, რომ ყოფილი ექზარხოსი საქართველოში აღარ დაბრუნდებოდა.

ბევრს ჩვენგანს ყოვლად სამღვდელო პიტირიმის წასვლა სწყინდა, გული შესტკიოდა, არ ესიამოვნებოდა.

ეს არც გასაკვირია, ვინაიდან ძლივს ნახეს ადამიანი, წარჩინებული პირი, რომელიც ტიროდა ივერიის ეკლესიის ბედ-იღბალზედ, გულახდილად აღიარებდა მის უმწეო მდგომარეობას და საქვეყნოდ ააშკარავებდა ყველას წინაშე მის დიად წარსულს.

ყველა ეს ჩვენ საჯაროდ გვსმენია ექზარხოს პიტირიმისაგან.

კიდევ მეტი, პირადად საყვედურიც უთქვამს ჩვენთვის, ქართველებისათვის რომ არ ვცდილობთ, მედგრად არ ვიბრძვით, რომ დიდება ქართულ ეკლესიისა აღდგენილი იყოს.

ესეც ხომ მართალია?

სწორედ რომ ჩვენ არა გვწამს ჩვენი ეკლესია. ეს კიდევ არაფერი, ჩვენ არ ვიცავთ მას, გვავიწყდება, რომ იგი დიადი კულტურული განძია ჩვენი სამშობლოსათვის.

ყოვლად სამღვდელო პიტირიმი-კი, როგორც თითონ ამბობდა, საქმითაც ბევრს ცდილობდი, რამენაირად გამოეკეთებინა ჩვენი ეკლესიის შელახული მდგომარეობა. მას მრავალჯერ წარუდგენია უწმიდეს სინოდის წინაშე ამა თუ იმ რეფორმის განხორციელების აუცილებლობა, მაგრამ ხმა მისი ყოველთვის რჩებოდა ხოლმე ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

ვერ იქნა, ვერ გადალახა ყველა ის დაბრკოლებანი რომელიც მას ყოველთვის წინ ეღობებოდა.

ყოვლად სამღვდელოს ხელს უშლიდენ, გზას არ აძლევდნენ მრავალი მისი მოქიშპე პირები.

ახალი მდგომარეობა საგრძნობელად შეიცვალა. დღეს ყოფილი ეგზარხოსი, როგორც მიტროპოლიტი პეტროგრადისა უკვე პირველი ადამიანია უმაღლეს დაწესებულებაში. იგი იქმნება მთელი საეკლესიო პოლიტიკის შემქნელი და მწარმოებელი. მას ძალუძს ახლა ბევრი სიკეთე ჩვენთვის, ბევრი შეცდომის შესწორება.

კარგათ გვახსოვს მისი აღელვებული სახე უკანასკნელად გამოთხოვების დროს. ახლაც კი ყურში გვესმის მისი სიტყვები, რომ მხოლოდ ქაღალდით, მრავალი პროექტების წარდგენით, კაცი ფონს ვერ გავა, ნაყოფს ვერ მოუტანს თავის საყვარელ ეკლესიას;

იქნება, მართლაც, ახლა მაინც გვეღირსოს რამე, იქნება ახლა მაინც აღარ იყოს საშიში ქართულ ეკლესიის თავისუფლების საკითხის წამოყენება, როგორადაც ძველად, წარსულ წლებში.

დღეის შემდეგ ჩვენს ტანჯულ ეკლესიას ეყოლება მფარველი და პატრონი თვით უწმინდეს სინოდში.

იმედია ყოვლად სამღვდელო პიტირიმი არ დაივიწყებს თავის გულწფელ სიტყვებს და კვლავ განაგრძობს ზრუნვას ივერიის ეკლესიის ბედ-იღბალზედ.

**ჯუანშერ.**

## ნარკვევი

კარგად ცნობილი შავრაზმელი გრ. პალმი კიდევ ამოტივტივდა „ნოვოე ვრემიას“ ფურცლებზე. იგი ამიერ კავკასიის საქმეებს ეხება და ბოლოს დასძენს:

„აუცილებლად საჭიროა ენერგიულად განაგრძოს რუსების გადმოსახლების საქმე მიწათ-მომქმედ და მიწათ-მომწყობმა უწყებამ. ეს საქმე უკვე რიგიანად მიდიოდა, მაგრამ გრაფმა ვორონცოვმა შეაფერხა. საჭიროა ყველა თავისუფალი ადგილი ამიერკავკასიაში სანდო რუსობით დასახლდეს. მხოლოდ მუღანლო და მოღის ველი როდი კმარა, საჭიროა რუსობა ჩავასახლოთ კავკასიის მთელი საზღვრების დასწვრივ, ბათომის ოლქში (მოღალატე აჭარელთა მიწებზე), ქუთაისისა, თბილისისა და განჯის გუბერნიებში“...

პალმისთანა შავრაზმელებს, რომელთაც მუდამ წაგლეჯვა - წართმევაზე უჭირავთ თვალი, მხოლოდ სამარე გაასწორებს.

## წრფელი ხმა ქართველ მაჰმადიანთა შესახებ

ქართული პრესა და საზოგადოება დიდს ფიქრსა და საგონებელში არიან ჩაბმულნი ქართველ მაჰმადიანთა შესახებ. პრესა და საზოგადოება ერთხმად აღიარებენ, რომ ქართველი მაჰმადიანების ხსნა სწავლა-განათლებაშიაო. კარგი და პატიოსანი! თუ ესეთი მზრუნველობა ჩვენს მოძმე მაჰმადიანებზე უბრალო ამჩატებისა და წამიერი გატაცების შედეგი არ არის, თუ მართლა საქმედ გვინდა ვაქციოთ ის, რასაც დღეს ვწერთ და ვლაპარაკობთ სამაჰმადიანო საქართველოს შესახებ, მოდი, მთელი ქართველობიდან, რომლის რაოდენობა ორ მილიონს მაინც უდრის, შევჯგუფდეთ ხუთასი კაცი, თვითეულმა ჩვენთაგანმა ერთ ერთს ქართულ საკულტურო-საგანმანათლებლო დაწესებულებას წარუდგინოს ხოლმე ყოველ წლივ ოც-ოცი მანეთი იმ დანიშნულებით, რომ შემდგარი თანხა მოხმარდეს ქართველ მაჰმადიანთა შვილების საშუალო სასწავლებელში აღზრდას.

სანამ ქართლ-კახეთი და იმერეთი თავის წიაღზე, თავის მკერდზე, საკუთარ მიდამოზე და კალთებზე არ ალხრდიან ქართველ მაჰმადიანობის ახალთაობას, მანამ მაჰმადიანი ქართველები ვერ იქნებიან ჩვენთან შემოერთებულნი სულითა და გულით, თავიანთი არსებობის ყველა ძარღვებით და სხეულის ყველა ნაწევრებით. მოზარდმა ქართველმა მაჰმადიანობამ უნდა განსაზღვრული დრო იტრიალოს ქართულ ქალაქებში და სოფლებში, ქართულ ოჯახებში, ქართულ ქორწილში და ტირილში, ქართულ კალო-გუთანზე და რთველში, რომ მთელი არსებით ეზიაროს ქართველობას. ამისთვის კი აუცილებელია მაჰმადიანთა შვილების შაბმა იმ პიტალო ქართველებში, რომლებსაც შეგნებულ მუშაკნბად ურაზმავენ სამშობლოს თბილისისა და ქუთაისის ქართული გიმნაზიები.

სარბიელი წინ გვიდევს და, თუ სიკეთის გარიგება გვსურს, ნუ მივიმალმოვიმალებით აქეთ იქით.

ჩემის მხრით ახლავე ვუდგენ ოც მანეთს ქართულ საკულტურო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა კავშირის დამაარსებელ წევრს ე. ს. თაყაიშვილს.

ვსთხოვ ქართულ გამოცემებს ამ ბარათის გადაბეჭდვას,

**ეპისკოპოსი ლეონიდი.**

## აუტანელი უბედურება

„...გთხოვთ თქვენი გაზეთის დახმარებით გააგებინოთ ქვეყანას ჩვენი ასეთი აუტანელი უბედურება და გვიშველოს ვინმემ როგორმე.

**არაგველი გლეხი.**

ასეთი კვნესით მოსთქვამდა „არაგველი გლეხი“ თავის კორესპონდენციაში დაბეჭდილ გუშინდელ ჩვენს გაზეთში.

დიდ გაჭირვებას განიცდის დღევანდელი ქართული სოფელი.

მაგრამ იმას რასაც აგვიწერს „არაგველი გლეხი“ მართლაც წარმოუდგენელი ამბავია! ყოველ ქართველს კარგათ გაეგება რა არის საზოგადო ბეგარა. ვამბობ ქართველს, რადგანაც თუ სახელმწიფო ან სხვა ჯურის ბეგარა კიდევ სადმე შენახულა თავის საშუალო საუკუნოების მეთოდების სახით, ეს საქართველოა. ბეგარა საქართველოში—ეს თვითნებობის სამეფოა ადგილობრივ თვითმპყრობელ მაზრის უფროსებისა, და თავგასულ ბოქაულებისა, მამასახლისებისა და სხვა და სხვა წვრილ მოხელეებისა.

ბეგარა საქართველოში—ეს სინონიმია ქართულ სოფლის ყოვლად უუფლებობისა და უპატრონობისა.

როდესაც ადგილობრივი მოხელე რაიმე უკანონო ძალდატანებით აწუხებს ქართველ გლეხს ან სოფელს—„სახელმწიფო ბეგრის“ მოთხოვნილებით იმართლებს თავსა. „ბეგარა“—დაუშრეტელი წყაროა უკანონობისა და უსამართლობისა ქართულ სოფელში. დღევანდელ ომიანობის დროს, როდესაც შინაური საქმიანობისაკენ ყველას ყურადღება მიყუჩებულია, მათი თავგასულობა, მოკლებულია ყოველგვარ შიშსა სასჯელის წინაშე, ხომ აუწერელია.

ქართლის ერთს კუთხეს კარგად ახსოვს ის ამბავი, როდესაც ერთმა სინიდის დაკარგულმა მამასახლისმა, ვითომ სამხედრო „ბეგრის“ მიზეზით ჩამორეკა რამდენიმე სოფლის გლეხობა თავის ურმებით, ახალციხეს უნდა გავგრეკოთო, და მერე ჩუმ-ჩუმად თითო ოროლას ფულით ანთავისუფლებდა და შინ ისტუმრებდა. „არაგველ გლეხის ნაამბობი მოგვითხრობს ეხლა, რომ დღეს გამოუგონიათ არაგვის სოფლებისათვის ახალი ბეგარა:

დუშეთის მემამულეებს ტყე იჯარით გაუყიდნიათ. უცხოელი მოიჯარადრენი დაძრწიან ეხლა გაშმაგებულნი დუშეთის მაზრაში და ადმინისტრაციის დახმარებით სოფლელებს ერეკებიან ტყის მოჭრისა, გამოზიდვისა და დუშეთ-თბილისში შეშის ჩატანისთვის.

ომის ბეგარააო! ეუბნებიან საბრალო გლეხებს. „დუშეთში ყველა მოხელეების ეზოში დგას „საჟენები“—აგვიწერს კორესპონდენტი—საწყალი გლეხი კი უშეშოდ, უხნავ-უფარცხი რჩება. სოფელი გაწყდა წელში. ნუ თუ სახელმწიფო ინტერესი ვიღაცა თავზე ხელ აღებულ და უსინიდისო კერძო პირებს უნდა ენაცვალოს! მამასახლისი ბოქაულზე მიუთითებს, ბოქაული კიდევ სხვაზე და არ იქნა ვერ გაიგო ბრმა გლეხმა, საიდან და ვისი წყალობით არის მოვლენილი მის თავზე ეს უბედურება... ასე იღუპება დღეს მთელი არაგვის პირი. გთხოვთ თქვენი გაზეთის დახმარებით გააგებინოთ ქვეყანას ჩვენი ასეთი აუტანელი უბედურება და გვიშველოს ვინმე როგორმე“.

ჩვენც ვაგებინებთ ქვეყანას...

ჩვენც ვაგებინებთ ხმა მაღლად ასეთ თავ-აღებულად გამეფებულ უწესობაზე ქართულ სოფელში კავკასიის უმაღლეს მთავრობას.

ადმინისტრაციის თავგასულობის შეჩერება და კანონიერ წესების დაცვა ეს მისი კომპენსაციაა, და მოვალეობა.

და იმედი გვაქვს იგი სათანადო ყურადღებას მიაქცევს არაგვისპირელ ქართულ სოფლების ასეთ აუტანელ მდგომარეობას.

**ეკალი.**

## ნარის წერილის გამო

(წერილი რედაქციის მიმართ*)

დიდად პატივცემულო ბატონო რედაქტორო! მოგმართავთ თხოვნით თუმცა ჩვენ უსწავლელნი ვართ, მაგრამ მაინც თვალყურს ვადევნებთ ჩვენს ავსა და კარგსა და გული შეგვტკივა ამდენს უსამართლოებაზე და მოგვეცი ნება და შეძლება და მიეცით გზა ჩვენს შეხედულებას და დაურთეთ თქვენი შეხედულობანი.

ვინც გინდა არ გინდა ყველანი ჩვენ გვაბრიყვებენ და დაგვცინიან, თუმცა ღირსნიც კი ვართ, მაგრამ სირცხვილი ის არის, როდესაც ისეთი ვაჟბატონიც კი დაგვცინის როგორიც კი ბრძანდება ფულით შესყიდული ბ. ნარი. და იმდენად გათავხედებულა, რომ პროვოკაციასაც კი ეწევა „ორიზონ“-თან, უსისინებს ხალხს და „პოგრომისკენ“ იწვევს. ქართველ ნაციონალისტებს-კი უკიჟინებს „პოგრომშჩიკობას“ და შოვინისტობას! გაღიზიანება არის, მაშ რა არის, როდესაც ბ. ნარი სომხის „ორიზონტისტებთან“ ერთად დასცინიან ქართველ ხალხს, რომ ჩვენ უძლურნი ვართ და არ შეგვიძლიან ბრძოლა სომხის ძლიერ ხალხთან და მათს უძლეველ კაპიტალთან, გვირჩევენ და დროც არის შევიგნოთ დავემორჩილოთ ბედს, მოვიხაროთ ქედი სომხის ხალხის და კაპიტალის წინაშე? განა შესაძლებელია ამ ნარი თავხედობა და მოუსვენრობა იმ ხალხისა რომელნიც განიცდიან ამდენს უბედურობას? ან რად გვიწოდებენ შოვინისტებსა და პოგრომშჩიკებს, არ გვესმის, როდის იყო რომ ქართველმა ხალხმა პოგრომები მოახდინა, არ შეიძლება მოგვაგონონ?! ან სად იყო რომ ქართველმა ხალხმა მოახდინა პოგრომი? ან სადა ყავსთ ქართველებს პოგრომჩიკების პარტია შეიარაღებული რომ ყველას ემუქრებოდენ თავიანთ ძლიერებაზე და პოგრომზე? ბ. ნარი გავს ქარბათ დაუჯილდოებიათ თავიანთის ძლიერის კაპიტალით, რომ აგრე გაუწითლებლათ იცავს მათ ძლევა მოსილებას და გვაშინებს ჩვენ ქართველ ხალხს და გვარიგებს, ქედი მოვიხაროთ მათის ძლიერების წინაშე, თორემ წაგვლეკავენ, ამასთან მათს ყოველივე უსამართლობას ამართლებს და ჩვენს სამართლიანს თავდაცვას შოვინისტობითა და პოგრომშჩიკობით ნათლავს!

ასე ბრძანებს ბ. ნარი „ორიზონისტებთან“ ერთათ:—მართალია სომხის ხალხი როდისღაც შამოიჭრა საქართველოში და ჩასახლდა ახალციხის, ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრებში, მაგრამ, რაჟუთ მერმეთ, თქვენ უძლურნი ხართ და ლაჩარნი და ჩვენ უნდა მივისაკუთროთ ეხლა, თქვენ კი სადმე გადიხვეწეთო!

ამნაირათ გვწყალობენ სომხის დიდებული ძლევა მოსილნი და მასთან ერთად მათგნით ძლიერის კაპიტალით შესყიდული ბ. ნარი და იმისი გამწრთვნელი ისიც დიდის კაპიტალის მონა მორჩილი ბატონი სემიონოვი!

ადამიანის ფსიხოლოგიას რომ ანგარიში გაუწიოთ ისინი მართალნი არიან, ყოველი ადამიანი მომენტსა და და შემთხვევას ეძებს და ყველა მოხერხებული დრო უნდა გამოიყენოს თავის თავის სასარგებლოთ და საბედნიეროდ, ამ შემთხვევაში არავის უფლება არა აქვს სომხის ბურჟუაზია გაამტყუნოს; აი სწორედ იმათ ასეთი დრო იხელთეს, რა ტომ არ უნდა ისარგებლონ ამ წამით, როდესაც თვითონ ქართველ ხალხში ჰყავთ მომხრეები და თავიანთ თავზე უარს ამბობენ თავიანთი სილარჩით, სიფრთხილით, რა არის სოციალისტობა არ ჩამოართვან, და ნაციონალისტები არ დაუძახონ თავიანთ უკანასკნელს პერანგსაც კი უთავაზებენ არამც თუ რაღაც ახალციხის, ბორჩალოსი და ახალქალაქის მაზრებს!

არ გვესმის ღმერთმანი, ნუ თუ ისე დაუჩლუნგდათ ყოველივე თავმოყვარეობა და მამულიშვილობა და ისე გალაჩრდნენ ჩვენი ახალი მოსოციალისტე ახალგაზდობა, რომ იმას ვეღარ უწევს ანგარიშს, რომ, რაღა იმათ (სომხებს) აქვთ უფლება ოსმალეთსაც დაედევონ და ომი გამოაცხადონ, სპარსეთსაც, ჩვენც კი გადმოგვლახონ და თავზე დაგვაჯდენ და ჩვენ კი უფლება არ უნდა გვქონდეს თავის დაცვისა და ხმის ამოღებისა! ნუ თუ თავის დაცვა ცოდვათა და შოვინისტობათ უნდა მოინათლოს? მაშ გვასწავლონ ჩვენმა სოციალისტებმა რასა ჰქვიან სამართლიანობა და ადამიანობა? მაშ ჩვენებურ სოციალისტებათ რომ ვიანგარიშოთ და მივიღოთ მათი დიდებული დევიზები და „ორიზონისტებსო და კავკ. სალოვოსი“ უნდა დავემორჩილოთ მათ დევიზსს და თუ ვინიცობა არის სტუმრათ გვეწვია ვი-

*) რედაქცია უცვლელად ბეჭდავს ამ წერილს რომ მას არ დაუკარგოს ფორმის ის თავისებური ღირსება, რომელიც შეადგენს ყოველი საღად და სადად მოაზროვნე ტვინის საიდუმლოებას. უფერ-უუმარულოდ არის გამოთქმული ქართველი ხალხის ვარამი და მისი თვითარსებობის საღი ინსტიქტის ხმა. ეს წერილი—საბუთია და მის გალამაზება-გაშალაშინება ჩვენი უფლების გარეშე დავსახეთ. **რედ.**

დგენილი გვაქვს იქვე მე-III-ე ხაზში, სადაც აგრეთვე მხედრული ასოებით ნაჩვენებია ამ ასოების სახმო მნიშვნელობა. მე-IV-ე ხაზში მკითხველი გაეცნობა იმ გზას, რომლითაც ჩვენს წინაპრებს უწარმოებიათ ახალი ასოები იმ ხმების გამოსახატავად, რომელნიც არამეულს ენაში არ იყვნენ და არც შესაფერი ნიშნები მოეპოვებოდათ. დასასრულ, მე-V-ე ხაზში მოთავსებული გვაქვს ორი ასო (ფ და უ), რომელნიც შესაძლოა ქართველებს ბერძნულიდგან შემოეტანოსთ, ან უკეთ ბერძნულის მიბაძვით ეწარმოებინოსთ.




როგორც ეს ცხრილი გვიჩვენებს, არამეულს ანბანში ყოფილა სულ 22 ასო (ხაზი I), რომელთაგანაც ჩვენს წინაპრებს უწარმოებიათ 30 ასო (ხაზი II და III), სახელდობრ:

ა) არამეულის ანბანის 1, 2, 3, 4, 5, 7, 9, 10, 12, 13, 14, 19 და 20 ასოები უხმარნიათ იმავე ხმების გამოსახატავად: ა, ბ, გ, დ, ე, ზ, თ, ი, ლ, მ, ნ, ყ, რ.

ბ) არამეული ანბანის მე-6-ე ასოსაგან, რომელიც დედანში იხმარებოდა ორი ხმის (u, v) გამოსახატავად, ქართულ ასომთავრულში ნაწარმოებია ორი ასო: ვ და ჳ.

გ) არამეული ანბანის მე-8-ე ასო, რომელიც იქ გამოხატავდა ხმას „ch“-ს, ქართველებს უხმარიათ სამის მონათესავე ხმის გამოსახატავად: ჰ, ღ და ხ.

დ) არამეულს მე-11-ე ასოს (გამოითქმოდა kh) საფუძველი მიუცია ორი ქართული ასოსათვის: კ და ქ.

ე) არამეული მე-15-ე ასო (აღნიშნავდა s) შეიძლება თავდაპირველად ქართულშიაც ეხმარნოსთ იმავე ხმის „ს“-ის გამოსახატავად; მაგრამ ამის კვალი ქართულ ნაშთებში არა სჩანს: ალბად იგი განუდევნია არამეული მე-21-ე ასოსაგან ნაწარმოებს „ს“-ს [6]).

ვ) არამეული ანბანის მე-16-ე ასო (=o) მისის ორისავე ფორმით ქართველებს შემოუტანიათ ორი ხმის გამოსახატავად: ჲ და ო.

ზ) არამეული ანბანის მე-17-ე ასო დედანში იხმარებოდა ორი ხმის (p და f) გამოსახატავად; ამ ასოს ბოლონდელი ფორმა ჩვენს წინაპრებს უნდა შემოეტანოსთ იმავე ხმების გამოსახატავად,—სახელდობრ: ფ-ისათვის უნდა ეხმაროსთ იგივე არამეული ასო უცვლელად (მაგრამ შემდეგ, როგორც ჩანს ეს არამეული ასო განუდევნია ბერძნულიდან შემოტანილს ფ-ს); ხოლო პ-ის გადმოსაცემად უხმარიათ იგივე ასო ზედი-ზედ გამეორებული, მხოლოდ მიბრუნ-მობრუნებით, საიდანაც წარმომდგარა ასომთავრული Ⴎ (პ).

ჱ) არამეულ მე-18-ე ასოსაგან (=ts) ქართველებს უწარმოებიათ ორი ასო: ც და ჩ.

თ) არამეული ანბანის მე-21-ე ასო (=sch) გამოუყენებიათ, მცირეოდენის ვარიაციით, სამი მონათესავე ხმის გამოსახატავად: ს, ჟ და შ.

ი) ხოლო არამეულ-ებრაული მე-22-ე ასო (=t) ქართულში საფუძვლად დასდებია ორს ასოს: ტ და ჯ (საყურადღებოა, რომ როგორც სახე, ისე სახელი ამ არამეული ასოსი „thav“, დედანში აღნიშნავდა „ჯვარს“).

(დასასრული იქნება)

**ს. გორგაძე.**

[6]) შესაძლოა ეს განდევნა მომხდარიყოს შემდეგს პერიოდში ბერძნულის ალფაბეტის გავლენით: ასომთავრული ქართული Ⴑ ბერძნული c-ისაგანაც შეიძლება წარმოებულიყო; მაგრამ ეს მოხდებოდა მხოლოდ მაშინ, როცა საქართველო ბიზანტიის კულტურის გავლენაში გადავიდა (იხ. ცოტა ქვემოდ).

ნმე სახლში და რამდენიმე დღეც გაუმასპინძლდით, შემდეგ მასპინძლობასა უნდა ხელი ავიღოთ ჩვენს სახლკარზედაც და დაუთმოთ მოსულ სტუმრებს ისე გამოდის ჩვენებურის მოსოციალისტე ფედირალისტებს, აზროვნებით. ამიტომაც ასე დიდებულათ ამკობს ბატონი ნარი ფედორალისტებს, დასელებს კი ორი რაობათა სთვლის როდესაც ბძანებს ბ. ნარი: „не говоря ужъ о дэсистахъ“ ასე გამოდის ბატ, ნარის აზრით.

— თუმცა ეს რაღაც ფედერალისტებია კიდევ რაღაცას მოისულელებენ და მოინაციონალისტებენ, მაგრამ ისინი ისე საშიშნი არ არიან და მოისუსტებენ, დასუსტებისთვის კი სულ ერთია თუ გინდ აზრის რედაქციაც მიითვისოს ორიზონმა, იმაზედაც ხმას არ ამოიღებენ, იმიტომ რომ სოციალისტობას ჩირქი მოეცხება! ბატონი ნარი დიდის პატივით იხსენიებს ორივე პორტიას. ასე გამოდის, რომ ნარი სთვლის დასელებს უკანონო შვილათ და უკანონო შვილებს მოგეხსენებათ რუსეთში არც სამშობლო აქვთ და არც მშობელი ყავთ და მაშესადამე ან გული რაღაზედ უნდა დაეწვათ. დიდებული დაჯილდოება გახლავთ და შეუძლიანთ დასელებს ამითი თავი ისახელონ, მაგრამ საუბედუროთ მგონი ამ ტიტულს მათი მამათ მთავარი პლეხანოვი არ მოიწონებს, რადამც იმანაც ამ ბოლო დროს ძველს არხივებში ძებნა დაუწყო მეტრიკის მოწმობას და უნდა თავი გამოაცხადოს კანონიერ შვილათ და ეძებს მშობელსა და სამშობლოს დაკარგულს და მისგან უარყოფილს.

ეს კარგი, პლეხანოვი კი გონს მოდის და სამშობლო დაცვისათვის ფიცსა სდებს უკანასკნელი სისხლის წვეთამდის იბრძოლოს, მაგრამ ჩვენი დასელები და და მოსოციალისტე ფედერალისტები რაღას აპირობენ! პლეხანოვს ახლავე უგრძვნია გერმანიის უღელსქვეშ აუტანელი ყოფნა და ჩვენი სოციალისტები რაღასა ფიქრობენ? თანახმანი არიან თუ არა დიდებული და ძლევა-მოსილს კაპიტალისა, რომ ძლიერი სომხის ხალხის ქვეშ იმყოფებოდენ და დაისვან კისერზე თუ არა! ნარს ცოტათი მაინც ეშინიან ფედელისტების, მაგრამ მაინც აქებს რაღამც, თუმცა ნაციონალისტობენ, მაგრამ მაინც იმედი აქვს ბ. ნარს იმათი, იმიტომ, რომ მათაც ეჭვი აქვსთ თავიანთს კანონიერს შვილობაზე და მაიტომ ვერც დაიცავენ მედგრათ და გაბედულათ თავის სამშობლოს, ოღონდ ერთად ერთნი საშიშნი ყოფილან უკიდურესი ნაციონალისტები, რადგანაც ისინი აღიარებენ თავიანთ თავს კანონიერ შვილებად. მაშასადამე სამშობლოსაც მედგრათ დაიცავენ, ამიტომ იმათ თან მიაჩნიათ სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლა, ამიტომ ნათლავენ შოვინისტებათ, პოგრომშჩიკებათ და მასთან მარკოვების იდიალოგებათ (ტერმინი „ზვირთელების“ გახლავთ.) ნეტა არ შეიძლება დავეისახელონ ბატონმა სოციალისტებმა, თუ როდის და რა საუკუნეში გამოიჩინეს ქართველებმა კაციჭამიობა და პოგრომშჩიკობა? დაასახელონ დრო და ჟამი ამ გაუტანლობისა ქართველებსა და ჩვენც დიდის სიამოვნებით კიჟინას დავსცემთ ამნაირს ადამიანებს და უფრო შესაფერისს სახელსაც უწოდებთ ოღონდ აგვიხსნან რაშია საქმე და ან რაში გამოიხატება ქართველებს კაციჭამიაობა! თუ იმას უკიჟინებენ, რომ თავდაცვის პოზიცია უჭირავსთ, ეს ხომ ყოველი შეგნებულის ადამიანის აუცილებელს მოვალეობას შეადგენს და ნუ თუ თავდაცვა კაცს ცოდვათ ჩაეთვლება?

მართალია „ზვირთელები“ თავადაზნაურობას უკიჟინებენ, რომ იმათ უღალატეს ქვეყანას თავიანთი ბედოვლათობით და გაყიდეს სამშობლოვო მაგრამ ამას აღარც ისინი ყოფენ უარს და ასეც იყო ყველგან და მერმეჲ რაღამც იმათ გაფლანგეს თავიანთის თავხედობით და ანუ უვიცობით და განა მერმეთ შველა აღარ უნდა იმას? რაღამც იმათ შეცდომა ჩაიდინეს ჩვენც უნდა განვიმეოროთ ეს თავხედი შეცდომები და აღარ უნდა უშველოთ ხალხსა და ქვეყანას? ეს ყველამ გავიგეთ, რომ იმათ თავხედობითა და შეუგნებლობით მოუვიდათ, მაგრამ განა ესევე უნდა ჩაიდინონ ჩვენმა შეგნებულმა მოსოციალისტე ახალმა თაობამ, თუ როგორც ანდაზა არის ისე უნდა მოვიქცეთ და „შვილმა უნდა აჯობოს მამასა“. მაგრამ თქვენის ტერმინით, რომ ვილაპარაკოთ ჩვენც იმათ უნდა მივბაძოთ ერთი-ორად მივფლანგოთ ყოველივე და უარი განვაცხადოთ ყოველივეზე. ამფერუმ ახალ-თაობავ. არა, ბატონებო! სჯობიან, თავი დაანებოთ ენის ქავილსა და რაც ჩვენს მამებს უგუნურობით დაუკარგავთ, ჩვენ გონივრულად დავიბრუნოთ, თუ არა იმისი კიჟინი, რაც ჩაუდენიათ წინაპართ წინეთ, ეს უდიდებულესი ცოდვა არის და დიდი შეუგნებლობაცა და ლაჩრობაც.

პატივისცემით

**მუშების პატარა ჯგუფი.**

## ქუთაისის დასი

**სეზონი 1915—1916 წ. „ქართული დრამისა.“**

(ღვინობისთვიდგან 1 გიორგობისთვემდე 1915 წ.).

**შემადგენლობა დასისა.**

**ქალები**—ანდრონიკაშვილი ელო, ბექანიშვილი სუზანა, კავთელი ანნა, მდივანი მარო, მესხი ეფემია, ღოლობერიძე ოლიმპიადა, შოთაძე ანნა. **ვაჟები**—ბარველი ვანო, გვარაძე ნიკო, გუგუშვილი საშა (რეჟისორის თანაშემწე), დადიანი შალვა (რეჟისორი), მურუსიძე ანდრო, ჟღენტი ილარიონ (სუფლიორი), სარელი ლადო, ურუშაძე ზაქრო, (კანტროლიორი), ყალაბეგიშვილი სანდრო, ჩაგუნავა ნიკო, ჩხიკვაძე ვარლამ, ხონელი შალვა.

**წარმოდგენები**

სულ გამართული იყო 16 წარმოდგენა. მათ შორის იაფ ფასიანი 5, ჩვეულებრივი—7, საბენეფისო 3. აგრეთვე გამართული იყო ადგილობრივ წ. კ. გ. ს. განყოფილების გამგეობის დავალებით „ილიას საღამო“ ჩვეულებრივ ფასებში. ყველა ამ წარმოდგენას დასწრებია 7078 კაცი.

**რეპერტუარი**

წარმოდგენილი იყო „სინათლე“ სამჯერ, „კაიუს მარკუს“, „სახელმწიფო სადგომი“, „ყაჩაღები“, „გაუდეამუს“, „ურიის სისხლი“, „ქრისტინე“, „სამშობლოს სადიდებლად“, „მადამ სან-ჟენ“, „სამშობლო“, „ჯამბაზები“, „ილიას საღამოზე“ რეფერატი ბ-ნ ალ. წერეთლისა. „ბატონი და ყმა“ ორ მოქ., „კაცია ადამიანი“ და ცოცხალი სურათი.—„ციმბირელი“, „ღალატი“.

**შემოსავალი**

სუბსიდია დრ. საზ. გამგეობისაგან 600 მან. სესხად გიორგი გორდაძისაგან 110 მან., მხოლოდ წარმოდგენებიდან 3466 მან. 66 კ. სულ 4176 მ. 66 კაპ.

**გასავალი**

გასტუმრებული სესხი 110 მან., სეზონის დაწყებისას ავანსად მსახიობებს 547 მან. 90 კაპ., სათეატრო ხარჯი 16 წარმოდგენის 1441 მ. 99 კ. ამხანაგობაში მარკებზე დანაწილებული 1870 მან., კასაში 206 მან., 77 კაპ. სულ 4176 მ. 66 კაპ.

**მარკები**

ამხანაგობას აქვს სულ 187 მარკა, ასე რომ პირველი თვის განვალობაში თითო მარკას მოუვიდა 10 მან.

„ქართ. დრამ.“ ამხ-ბა.

## პროვინციის ქრონიკა

**ქუთაისი**

ქუთაისის ქართულ დრუჟინის შესახებ მრავალგვარი ხმა დადის. ამას წინად ირწმუნებოდნენ დრუჟინას ცალკე ბათალიონად შესცვლიან და მანსვეტაშვილის უფროსობით რომელიმე ფრონტზე სამოქმედოთ გაისტუმრებენო, ეხლა კი ხმა დადის, რომ დრუჟინის უფროსად ინიშნება თ. დ. ო. ნიჟარაძე და თანაშემწედ ბ-ნი კვინიხიძე, და დრუჟინა ბათომის ოლქიდან გადაჰყავთო..

**მანგლისი**

მანგლისის ტყეში გაჩნდა ყაჩაღ-მძარცველთა ბრბო, რომელიც გორის მაზრიდან გადმოვიდა, და რომელსაც ხსენებულ მაზრაში შვიდამდე ბოროტმოქმედება ჩაუდენია. ამას წინად ბრბომ გაძარცვა გიგლა გიგაური, რომელსაც წაართვეს ფულად 100 მანეთი და თვითონაც მძიმედ დასჭრეს.

14 გიორგობისთვეს მძარცველთა ბრბო თავს დაეცა ნარიმანიძის დუქანს და მოსტაცა 10 ცხვარი. როგორც გამოირკვა, მძარცველნი სულ მაჰმადიანები ყოფილან. მათ მეთაურობს ცნობილი და ამას წინად გასამართლებული 12 წლის კატორღის მისჯით ჰასან რუსთ-ამ-ალა ბაირამოვი, რომელიც საპყრობილედან გამოიქცა. მანგლისში ბოროტმოქმედების შემდეგ, ყაჩაღთა ბრბო კვლავ გორის მაზრაში დაბრუნდა, სადაც განაგრძობს თარეშს.

**სოფ. ქვიშხეთი** (ქართლი)

თბილისის გუბერნატორმა ნება დართო გაიხსნას სოფ. ქვიშხეთში მომხმარებელი საზოგადოება „იმედი“. ამ ბოლო ხანს მთელ ქვიშხეთს მოედო გადამდები სენი ყალამთა, სოფელს არ ჰყავს არც ფერშალი, არც ექიმი.

აქაურ სკოლაში შემოღებულ იქმნა ხელსაქმის სწავლება. მიიღებიან აგრეთვე სრულწლოვანნიც.

**სოფ. სალხინო** (სამეგრელო)

ამ თვეში აქ უნდა გაიხსნას ფოსტის განყოფილება, რომლისთვის ორ სართულიანი ქვის შენობა უკვე მზათ არის.

**სოფ. დიდი ჯიხაიში** (ქვემო იმერეთი)

ბევრი ოჯახია ამ ჟამად დამშეული და უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი, მაგრამ ჯერ-ჯერობით სამწუხაროდ შველის ხმა არსაიდან ისმის.

**სოფ. ივანდიდი** (ხონის რაიონი)

1897 წ.წ. დაბადებულთ აქეთ უკვე სწერენ. ამინდები სოფელში უვარგისია. დიდ გაჭირვებას განიცდიან აქ ომში მყოფთა უმწეო ოჯახები. კარგი იქნებოდა მათ სასარგებლოდ რომ დ. ხონში მოწყობილიყო სახალხო წარმოდგენა.

**გ ო რ ი**

„მანდილოსანი“-ს საზოგადოებამ კოოპერატიული ამხანაგობა დაარსა, აქვს მოწყობილი საჩაიეც, საცა ყოველთვის აუარებელი ხალხი დაიარება. შემოსავალიც მანდილოსანთა საჩაიეს და დუქანს გვარიანი ჰქონია. ამ მოკლე ხანში იგი აპირე ს მეორე დიდი სახალხო საქმის გაკეთებას. სახელდობრ ჰსურს გორის სკოლის გარეთ დარჩენილ მცხოვრებთა შვილებს გაუხსნას სკოლა, ჯერ-ჯერობით 40 ბავშვისთვის და შემდეგა ეს სკოლა გააფართოვოს.

**ხ ა შ უ რ ი**

ხაშურში პურის დიდი ნაკლებობაა, მდაბიო ხალხი მეტად უნუგეშო მდგომარეობაშია. აქეთ უკვე დიდი სიცივე დაიწყო. მთები ჩამოთოვილია.

**ს უ რ ა მ ი**

2 გიორგობისთვეს სახალხო ყრილობამ დაადგინა: ეთხოვოს თბ. გუბერნატორს, თვეში ოთხი ვაგონი დაინიშნოს სურამისთვის ხორბლის შემოსაზიდად, რადგან პური სურამში ეხლა სრულებით აღარ იშოვება.

აქ არსებული დრამატიული წრე რაღაცა გამოურკვეველ მიზეზების გამო უმოქმედობას მისცემია. ეს ერთი ხანია დახურულია აქაური სამკითხველოც.

## ქართველი მომრიგებელი მოსამართლეები

მომრიგებელი მოსამართლეების (მსაჯული) რიცხვი ჩვენში თანდათან მრავლდება, უწინ თუ მაზრაში მხოლოდ ერთი მომრიგებელი მოსამართლის მეტი ადგილი არ იყო, ეხლა ერთის მაგივრად, სამი და ოთხი ადგილი არის, ახლად გახსნილ ადგილებზე მომრიგებელ მოსამართლეებათ ხშირად, რასაკვირველია, უცხო ტომის, ჩვენი ზნე და ჩვეულების, უცოდინარ პირებს ნიშნავენ, მაგრამ ათასში ერთხელ, ქართველ კაცსაც გაუღიმებს ხოლმე ბედი და იმასაც არგუნებენ ხოლმე ჩვენში მომრიგებელი მოსამართლის ადგილს. განსაკუთრებით ჩვენს გლეხებს ძლიერ მოსწონთ და უხარიათ ქართველი მოსამართლის დანიშვნა. მათი სიხარული არც უსაფუძვლოა. ცამდის რომ მართალი იყოს საწყალი სოფლის უსწავლელი კაცი, იგი თავის გრძნობას და გულის ნადებს, უცხო ტომის მოსამართლეს, თარჯიმნის საშუალებით, მაინც ვერ გადასცემს და ვერ გააგებინებს. ეს ჩვენმა გლეხებმა ძლიერ კარგად იციან და აი ამიტომ გაუხარდებათ ხოლმე ქართველი მოსამართლის დანიშვნა. სამწუხაროთ და საუბედუროთ ჩვენდა, ყველა ქართველი მოსამართლე, მომრიგებელია იგი, შუამავალია თუ სხვა რამე მოხელე ეროვნული იდეალებით არ არის გამსჭვალული და ჩვენი დაბეჩავებული სოფლის ხალხის ტკივილები დიდად არ აწუხებს. მაგალითად ჩვენში ბევრი ისეთი მომრიგებელი მოსამართლე არის, რომელიც საჭიროდ არ სცნობს მომჩივან-მოპასუხეს ქართულად დაელაპარაკოს და ამ ენაზე მოისმინოს მათი პასუხისგება, თარჯიმანის დაუხმარებლად, საქმის გარჩევის დროს. ერთი ასეთი მომრიგებელი მოსამართლე გახლავთ ამ ჟამად ხარაგაულის მხარეს. ხსენებული მსაჯული ხშირად საქმის გარჩევის დროს კომიკურ მდგომარეობაში ვარდება. მომჩივან-მოპასუხეები, რომლებმაც კარგათ იციან მსაჯულის ვინაობა მას შესცქერიან და მას ესაუბრებიან, ბ. მსაჯულს კი პირი მარად ჟამს თარჯიმანისაკენ აქვს და მისი საშუალებით უსმენს და ელაპარაკება მომჩივან-მოპასუხეს. ამ ნიადაგზე ბ. მსაჯულს ბევრი გულის წყრომა ეხარჯება... კარგი იქნება ბ. გ—ძე თავის წინამოადგილეს . რაზმაძეს მიბაძავდეს და საქმის გარჩევის დროს მისებრ ქართულად ინებებდეს მომჩივან-მოპასუხე და მოწმეებთან ლაპარაკს. ამით მას არა დაუშავდება რა და აქაურების გულს კი ძლიერ მოიგებს.

მ. ფარცხნალელი.

## ხმა იმერეთიდან

შველა-დახმარების მდომ გაჭირვებულ საქართველოს მცხოვრებთ დღეს გულწრფელ ხელის გამწვდომად ერთად ერთი ქართული საქველმოქმედო საზოგადოება მოევლინა. ჩვენს დამშეულებს, თუ სხვაფრივ დაზარალებულთ საიმპერიო დახმარების თანხიდან ყურადღებას არ აქცევენ.

ეს რამდენჯერმე იქმნა უტყუარ ფაქტად ცნობილი.

ამ რიგად დამშეული ხალხი მხოლოდ ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას რჩება. იგი გამოდის მათ ნამდვილ ქომაგად.

ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ თავის მოქმედების ნაყოფი უკვე გვაჩვენა სამეგრელოში, აჭარაში და სხვა ადგილებში, მაგრამ არის მეორე ძალიან დამშეული მხარე, ქვემო იმერეთი, რომლისთვისაც დღეს-დღეობით არავითარი დახმარება არ სჩანს.

ხსენებულ მხარის დამშევაზე და მწარე განსაცდელზე ქართულს გაზეთებში უკვე იყო საკმაო ცნობები, მაგრამ დღეს ყოველივემ უკიდურეს სინამდვილემდე მიაღწია. დადგა ზამთარი, სოფელში ძალზე აცივდა, უმთავრეს ძალას მოკლებული ოჯახი სრული მოსპობის პირას სდგას.

ავადმყოფობათ და სხვა უბედურებათ, რომ თავი დავანებოთ, თვალ წინ წარმოგვიდგება საზარელი სურათები, თუ რა რიგ ძრწიან და კანკალებენ შიმშილისგან ძალა მიხდილი, დაყვითლებული ბავშვები.

სამტრედიის და ხონის რაიონში, როგორც ზოგიერთა ცნობით გავიგეთ 350 ოჯახია, რომელიც შიმშილობას განიცდის, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, თუ არა, ისე დამშეული წელს საერთოდ ყველა მოსახლეა.

დასასრულ, ჩვენი წერილისა, მივაქცევთ ერთად ერთ ჩვენი ხალხისადმი გულშემატკივარს დაწესებულების, საქველმოქმედო საზოგადოების ყურადღებას იმერეთის სოფლებისადმი, რათა იქ დაჩქარებით გაჰგზავნოს თავის რწმუნებული ხალხის მდგომარეობის გასაცნობად და დახმარების აღმოსაჩენად.

ი. ჯიხაიშელი.

### დაჭრილ-დაავადმყოფებული ქართველი ჯარისკაცნი.

თბილისის ლაზარეთში იმყოფებინა: მესხი ონისიმე იოსების ძე, შაქარაშვილი იაკობ გიგოს ძე, კვერკველაძე ლეო, გეგელაძე ალექსანდრე, გამზარდაშვილი სევერიანე, გაბუნია გერასიმე, კარგავა სამსონ თადაოზის ძე, ჩერლაშვილი მაქსიმე, კორგალაძე ლადიმე, ილაშვილი გიგო ზაქარიას ძე, აკობია გერასიმე, სეპაშვილი გიორგი მიხაკოს ძე, შონია ანტონ მერაბის ძე, კოტრიკაძე ანტონ გიორგის ძე, გოგიბერიძე რაფიელ ალექსან., ვასაძე გერმანე ფილიპეს ძე, გაბაძე გედევან ბოგ., ტანდილაშვილი ბეგა იასონ., შოშაშვილი ივანე გიორგის ძე, ახანაური მიხაკო სიმონის ძე, კუდუხაშვილი გიორგი ნონიას ძე, ჯანგარაძე სერგო ანტონის ძე, კვარცხავა ალექსი პეტრეს ძე, ბიბიჩაძე ერმილე გიორგის ძე, სოხაძე კირილე ივლიანეს ძე, კობახიძე ონოფრე სპირიდონის ძე, რაზმაძე ზაქრო სოლომონის ძე, პატარაია არსენ კონსტანტინეს ძე, ტილორდავა ავქსენტი, სირბიკიშვილი აბრამ სოლომონ., მეტრეველი გიორგი სტეფანეს ძე, გრიგოლიშვილი ივანე.

## ოსმალთა სომხეთში

**რუსკოე სლოვო 20 გიორგობისთვე.**

სომხეთის ბელად რუბენის მოხსენება.

სუსანიში. სომხების აჯანყების ერთი წინამძღოლთაგანი,—რუბენი, პეტროგრადიდან, სადაც მან ინახულა ზოგიერთი დიპლომატები ოსმალთა სომხეთის საქმის მდგომარეობის გასაცნობად, მოსკოველ სომხებს ესტუმრა.

მოსკოვში სომეხთა წარმომადგენლების წრეში რუბენმა მოხსენება წაიკითხა იმ ამბების შესახებ, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ოსმალთა იმპერიის სომხეთა ვილაითებში.

ომის დაწყებისას არზრუმში კონფერენცია იყო მოწვეული დაშნაკცაკანთა პარტიის წარმომადგენლებისაგან. ახალგაზდა ოსმალებმა როცა გაიგეს არზრუმში კონფერენციაზე დელეგატები გამოგზავნეს. ოსმალთა დელეგატები წინადადებას აძლევდნენ სომხებს, თუ ოსმალეთს შეტაკება მოუხდებათ რუსეთთან, ოსმალეთის მთავრობისათვის სომხებს მხარი დაეჭირათ კავკასიაში აჯანყების მოწყობით. სომხებს უნდა შეედგინათ პროპაგანდისტთა წრე და გაეგზავნათ კავკასიაში ამ საკითხის მოსაგვარებლად. ოსმალთა დელეგატებმა კიდევაც მოიყვანეს თავისი მხრით ამგვარი პროპაგანდისტები, რომელთა მეთაური იყო ამირ-შიხმატი.

ოსმალები არწმუნებდნენ სომხებს, რომ აჯანყება აუცილებელია, რომ მალე აჯანყდებიან თათრები, ქართველები და სხვა მთიულები. ოსმალებმა კიდევაც წარუდგინეს კონფერენციას კავკასიის ერთა მომავალი რუკა. ქუთაისის და თბილისის გუბერნიები სოხუმის ოლქით, ბათუმის ოლქი და ტრაპეზუნის ვილაიეთის ნაწილი ქართველებს ეთმობოდა. ლეკეთი, მთიული ოლქები კავკავამდი, ბაქო და განჯის გუბერნიის ნაწილი—თათრებს. ყარსი, ერევნის გუბერნია, ნაწილი განჯის და ნაწილი არზრუმის ვილაიეთის, ვანი და ბითლისი—სომხებს. ოსმალთა პროექტით ყველა ეს ნაწილები ავტონომიური ერთეულები იქნებოდნენ, ხოლო უმაღლესი ზედამხედველობა ოსმალეთს ენიჭებოდა. სომხები არ დათანხმდენ ოსმალებს ამ განაწილებაზე, რის შემდეგაც დაიწყო სომეხთა რბევა. რუბენმა ნათლად დახატა მთელი სურათი სომეხ-ოსმალთა ურთიერობისა.

მსხვერპლი დიდიაო, დაამთავრა რუბენმა... მარტო მუშის რაიონში ამოწყვეტილ იქმნა 60,000-მდე სომეხი. ასე იყო სხვა ადგილებშიაც.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი**

### გერმანეთში მყოფ დატყვევებულების [illegible]

[illegible] მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა“) წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

> An die Kommandatur
> des Kriegsgefangenenlagers
> აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი.
> Liebesgaben für die
> russischen Kriegsgefangenen.
> აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.
> Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა **უფასოდ** გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:

Suisse, Bern Ensingnenstrasse, № 48, А. А. Вахерахтъ.

ან კიდევ მეორე:

Banque populaire Suisse, Fond Russe pour les prisonnier de guerre.

**ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ** შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:

> Швейцарія — Заказное
> Suisse. Recommandée
> Comité International de la
> Rouge.
> Agence des prisonniers de
> guerre — Genéve.

## ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

**(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)**

**თბილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| № 3 | ბაქოდან. | . 12 ს. | 54 წ. | დღ. |
| № 4 | ბათომიდან. | 5 ს. | 55 წ. | საღ. |
| № 5 | ბაქოდან(სწრ.) | 7 ს. | 41 წ. | საღ. |
| № 10 | ბათომიდან. | 9 ს. | 51 წ. | დილ. |
| | ჯულფიდან | 6 ს. | 53 წ. | დილ. |
| | ბორჯომიდან | 7 ს. | 25 წ. | დილ. |
| | „ საღ. | 10 ს. | 28 წ. | საღ. |

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| № 3 | ბათომისკენ | 1 ს. | 45 წ. | დღ. |
| № 4 | ბაქოსკენ . | 7 ს. | 3 წ. | საღ. |
| № 6 | ბაქოს(სწრ.) | 12 ს. | 8 წ. | დღ. |
| № 9 | ბათომისკენ. | 8 ს. | 53 წ. | საღ. |
| | ჯულფისკენ | 10 ს. | 23 წ. | საღ. |
| | ბორჯომისკენ | 3 ს. | 29 წ. | დღ. |

## კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.**

**თბილისიდან გადის:**

| | |
|---|---|
| თელავისა ჲ წნორისკენ დილ. | 8 ს. 58 |
| გურჯაანში მიდის ნაშუადღ. | 3 ს. 53 წ. |
| გურჯაანიდან გადის თელავისკენ ნაშუადღევის | 4 ს. 53 წ. |
| თელავში მიდის ნაშუადღევ. | 5 ს. 35 წ. |
| გურჯაანიდან წნორზე მიდის | 4 ს. 18 წ. |
| წნორზე მიდის . . . . . | 5 ს. 15 წ. |

**თელავიდან ყოველ დღე გამოდის თბილისისკენ:**

| | |
|---|---|
| დილის . . . . . . . | 8 ს. 58 წ. |
| გურჯაანში მოდის . . . | 10 ს. 26 წ. |
| წნორიდან თბილისისკენ გამოდის დილის. . | 10 ს. 16 წ. |
| გურჯაანში მიდის . . . | 10 ს. 16 წ. |
| გურჯაანიდან თბილისისკენ გამოდის დილის | 10 ს. 46 წ. |

თბილისში ჩამოდის 5 საათზე.


წ ი გ ნ ი ს მ ა ღ ა ზ ი ა

„ახალი სიტყვა“ („Новая рѣчь“).

ი. დ. კ ი კ ნ ა ძ ი ს ა.

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

1 მაისიდან ქ. თბილისში გაიხსნა ჟურნალ-გაზეთების კანტორა

„განათლება“

ჯერჯერობით აგენტებს გაეგზავნებათ შემდეგი გაზეთები: „საქართველო“, „თანამედროვე აზრი“, „ეშ. მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „კავკაზსკოე სლოვო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხა[illegible]ბალა“ და იყიდება ახლად გამოცემული წიგნები ა. ბლდონის **„აკაკი და მის[illegible] პოეზია“** (რუსულ ენაზე), **„სქესობრივი საკითხი და ბავშვი“** ი. გომართელისა, **„მსოფლიო ომის ეკონომიური მიზეზები“**—მასლოვისა, **„ცხოვრების [illegible]მღერები“**—ბევლარ ახოსპირელისა **„კოოპერატივები იტალიაში“**—ნ. ჟორდანიასი და სხვა-და-სხვა ქართული წიგნები.

აგენტები ვალდებულნი არიან მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი წინდაწინ გადაიხადონ.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почт. ящ. № 96, Сильвестру Р Таварткиладз:.

**კანტორის ადრესი:** Ольгинская 6.

თევზის მრეწველნი

ძმ. ძეგველოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

განყოფილება ავლაბარში

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. **„ლ. მაილოვის-შვით,** სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზალალა**, მცირე მარილიანი, შავი **„„მეშოჩნი“** ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეძვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.




სტამბა „ცხოვრება“ ა. კილანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.